გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

60 თეთრი

№123 (1149) 2 – 3 დეკემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ შვედეთის ელჩის მოადგილესთან

რა მიზნით სწავლობს გუსტავ ვინსტრანდი ქართულს გვ. 5

2016 წლის არჩევნების ორი სკანდალური სცენარი



ვინ ჩაანაცვლა პაატა ბურჭულაძემ ქართულ პოლიტიკაში, რა შემთხვევაში ითანამშრომლებს მსოფლიო ბანი ბიძინა ივანიშვილთან და როგორ გადანაწილდება პოლიტიკური ძალები საარჩევნოდ გვ. 3

გია ხუხაშვილის პოლიტიკური პროგნოზი

„პრეზიდენტი ჩასაფრებულია, რომ გუნდს, რომელმაც მოიყვანა, როგორმე კვანტი დაუდოს და დააზიანოს!"

გვ. 4–5

ბიძინა ივანიშვილის ექსკლუზიური ინტერვიუ

ადამ მიხნიკი: „საქართველოს მთავრობა სიფრთხილეს იჩენს რუსეთთან მიმართებაში, რაც ჭკვიანურია"

გვ. 2

საქართველოს პრეზიდენტის სასახლე მსოფლიოს ცნობილი შენობების გვერდით მოხვდა

გვ. 7

ავსტრიული ჟურნალი იმ ქვეყნების ჩამონათვალს აქვეყნებს, რომლებმაც საფრანგეთს სოლიდარობა ორიგინალურად გამოუცხადეს

სუს-ის კონტრტერორისტულმა ცენტრმა ოთხი პირი დააკავა

გვ. 2

კომპანია RMG-ის, სახელმწიფოსა და პროფკავშირული აქტიურობის შესახებ

ადამ მიხნიკი: „საქართველოს მთავრობა სიფრთხილეს იჩენს რუსეთთან მიმართებაში, რაც ჭკვიანურია“

ბათო ჯაფარიძე

საპარლამენტო (და არამარტო) ოპოზიცია ხელისუფლებას რუსეთთან პოლიტიკის გამო ხშირად აკრიტიკებს. უფრო ზუსტად კი, ოპოზიციას სურს, რომ მთავრობა ჩრდილოელ მეზობელთან უფრო ხისტი იყოს. კითხვაზე, რა მოიტანა ამ სიხისტემ 2008 წელს, ამბობენ, რომ მაშინ, თურმე ომი მოვიგეთ და რუსეთის რეალური სახე მსოფლიოს დავანახეთ. რად დაგვიჯდა ეს „მოგება“ და „დანახება“, კარგად მოგეხსენებათ. ეს ოპოზიციის აზრია, თორემ...

ცნობილმა პოლონელმა საზოგადო მოღვაწემ, ჟურნალისტმა და დისიდენტმა ადამ მიხნიკმა, 1 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია წაიკითხა თემაზე „ევროკავშირი – რეალობა და მოლოდინი“. სხვა კითხვებთან ერთად, მიხნიკს ისიც ჰკითხეს, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობას როგორ აფასებო...

„ჩემი თვალთახედვით, ის პოლიტიკა, რაც აქვს საქართველოს ხელისუფლებას, არ არის ცუდი. გრძელდება პროევროპული კურსი, მაგრამ მათ ესმით, რომ ეს არის გრძელი გზა. ამავდროულად, ისინი იჩენენ სიფრთხილეს რუსეთთან მიმართებაში, რაც ჭკვიანურია, თუ გავითვალისწინებთ ომის გამოცდილებას. რა თქმა უნდა, ეს იყო პროვოკაცია რუსეთის მხრიდან, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მიხეილ სააკაშვილი წამოეგო ამ პროვოკაციას, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები აფრთხილებდნენ. არ არის დრო ნაპოლეონის ენით საუბრის მაშინ, როდესაც შენ ხარ სააკაშვილი“, — განაცხადა მიხნიკმა.

სხვათა შორის, მიხნიკს არც ის დაუმალავს, რომ ყურადღებით ადევნებს თვალს რუსულ მედიაში საქართველოზე დაწერილ სტატიებს და იმის მიუხედავად, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში ობიექტურობით არ გამოირჩევა, დასკვნას მაინც აკეთებს: **„მე ქართულად ვერ ვკითხულობ. შესაბამისად, საქართველოს შესახებ მხოლოდ რუსულენოვან პუბლიკაციებს ვეცნობი. შესაძლოა, ისინი ობიექტურობით არ გამოირჩევა, მაგრამ ახლა არავინ წერს, რომ საქართველო არის პოლიციური სახელმწიფო, სადაც ადამიანის უფლებებს არღვევენ. ამას რუსებიც კი აღარ წერენ და ეს სერიოზული მიღწევაა“.**

მიხნიკს აზრი საქართველოში დღეს არსებულ რეალობაზეც ჰკითხეს, რაზეც საინტერესო პასუხი გასცა: **„როგორც ქართველი, მე, ალბათ, შევხედავდი ერთ ხეს, მაგრამ როგორც პოლონელი, ვუყურებ შორიდან მთელ ტყეს. ჩემი შეფასებით, საქართველოში არაა ცუდი ვითარება, მაგრამ ქართველები ჰგვანან პოლონელებს იმ მხრივ, რომ რაც უნდა იყოს, ყოველთვის მაქსიმუმი უნდათ და კმაყოფილები არ არიან“.**

თუ ახლა ოპოზიცია იტყვის, რომ მიხნიკი რეალობაში ვერ ერკვევა და მხოლოდ რუსული საინფორმაციო საშუალებების მიხედვით მსჯელობს, მათი საქმეა.

სუს-ის კონტრტერორისტულმა ცენტრმა ოთხი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრში დაქირავებულის შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 410-ე მუხლის მესამე ნაწილით.

მიმდინარე გამოძიების პროცესში მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად გამოიკვეთა რამდენიმე პირი, რომლებიც ემხრობიან ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიას.

გამოძიების ფარგლებში, 2015 წლის 18 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ თერთმეტი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შესახებ განჩინება გაიცა. 2015 წლის 29 ნოემბერს სუს-ის კონტრტერორისტული ცენტრის მიერ წარმოებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სასამართლო განჩინებების საფუძველზე, ყველა მითითებულ მისამართზე ჩხრეკა ჩატარდა.

ჩხრეკის შედეგად ოთხი პირის საცხოვრებელი სახლებიდან ხელყუმბარები, ცეცხლსასროლი პისტოლეტები, საბრძოლო ვაზნები და ცილინდრული ფორმის ასაფეთქებელი მოწყობილობები ამოიღეს. ასევე ამოღებულია მობილური ტელეფონები, სხვადასხვა მობილური ოპერატორების სიმ-ბარათები, მეხსიერების ბარათები, კომპიუტერული მოწყობილობები, ინტერნეტმოდემები, ნოუთბუქები, სხვადასხვა ლიტერატურა, ინფორმაციის მატარებელი ელექტრონული მოწყობილობები, CD და DVD დისკები და ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოს“ მიკუთვნებული დროშები.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად სუს-ის კონტრტერორისტული ცენტრის და შსს-ს თანამშრომლებმა ოთხი პირი: ჯამბულ ა, მირიან ბ, გია ბ. და ლაშა გ. დააკავეს. აღნიშნულ პირებს ბრალი წარედგინათ საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

დაკავებული პირების ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირების და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ფაქტის დასადგენად საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

საქმეზე გრძელდება შემდგომი გამოძიება ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირზე მყოფი სხვა პირების მხილების და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

„დარწმუნებული ვარ, ეს დიდებული ქალაქი და ქვეყანა გაუძლებენ ბოროტი ძალების თავდასხმებს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გაერო-ს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა.

პრემიერმა საუბარი 13 ნოემბრის პარიზის ტერაქტების თემით დაიწყო და ფრანგ ხალხს სამძიმარი და თანადგომა კიდევ ერთხელ გამოუცხადა: **„პარიზის ტრაგიკულმა მოვლენებმა უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე და, რა თქმა უნდა, საქართველოზეც. სიტყვები არ მყოფნის, ამ მწუხარების ჟამს გამოვხატო ჩვენი მწუხარება და თანადგომა. ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში, ასეთ მძიმე ვითარებაში თქვენი ხალხის უპრეცედენტო თავშეკავებამ, სიმტკიცემ და სიმხნევემ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე წილად მხვდა პატივი, ვყოფილიყავი სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი. პარიზს ყოველთვის მივიჩნევდი მეორე სახლად. დარწმუნებული ვარ, საფრანგეთი გაუძლებს ბოროტი ძალების თავდასხმებს, რომელთა მიზანია, გაანადგურონ ის, რის აშენებასაც ჩვენ, ამ დარბაზში შეკრებილნი, ვცდილობთ. ამ ძნელბედობის ჟამს მე და ქართველი ხალხი თქვენ გვერდით ვდგავართ და მზად ვართ ნებისმიერი სახის დახმარებისთვის“.**

პრემიერ-მინისტრის თქმით, ტერორიზმი არის ნათელი მაგალითი, რომ არსებობს გამოწვევები, რომლებსაც ვერც ერთი ქვეყანა მარტო ვერ გაუმკლავდება. ირაკლი ღარიბაშვილმა საერთაშორისო საზოგადოების ერთიანობის, თანამშრომლობის აუცილებლობაზეც ისაუბრა. მისი თქმით, დღეს, როდესაც ტერორისტები ცდილობენ საზოგადოების დაყოფას სხვადასხვა ქვეყანაში, მნიშვნელოვანია ერთად დგომა იმ პროგრესის დასაცავად, რომელსაც მსოფლიომ ბევრ სფეროში მიაღწია.

რაც შეეხება კლიმატურ ცვლილებებს, ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო მხარს უჭერს კლიმატური ცვლილებების შემცირებისკენ მიმართული მოქმედების გააქტიურებას: **„მიგვაჩნია, რომ საქართველო ნამდვილი ლიდერია კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლაში. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ დიდი ოდენობით განახლებადი ენერგიის გამოყენებასა და ექსპორტს. ჩვენი დოკუმენტი — „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით“ ითვალისწინებს გამონაბოლქვის 15-25%-ით შემცირებას 2030 წლისთვის. 2021-2030 წლების კლიმატთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმაში, რომელიც მომავალ წელს შემუშავდება, განსაზღვრული იქნება, როგორ უნდა მივაღწიოთ ამ მიზანს და რა სახის საერთაშორისო მხარდაჭერა დაგვჭირდება. ფაქტობრივად, საქართველო უკვე ეტაპობრივად დგამს ნაბიჯებს კლიმატურ ცვლილებებთან საბრძოლველად“.** პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ მწვანე კლიმატის ფონდის დაფინანსება დიდ გავლენას იქონიებს განვითარებადი ქვეყნების მიერ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის სამიზნეების მიღწევაზე: **„პარალელურად საქართველო მუშაობს ემისიის შემცირების ეროვნულ გეგმაზე. საერთაშორისო მხარდაჭერით უკვე შევიმუშავეთ ამ მექანიზმის კონცეფციები საქალაქო ტრანსპორტთან, საზოგადოებრივ შენობებში ენერგოეფექტიანობასთან და სოფლად ხეტყეზე მომუშავე ენერგოეფექტიან ღუმელებსა და მზის კოლექტორებთან დაკავშირებით. გამონაბოლქვის შემცირებისკენ მიმართული ეს ზომები შესულია მწვანე კლიმატის ფონდის მზადყოფნის პროგრამაში, რომელიც ამჟამად მზადდება კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული ადაპტაციის ზომებისა და პარალელური მოქმედების შემუშავებასთან ერთად. ცხადია, მწვანე კლიმატის ფონდის დაფინანსება გავლენას იქონიებს განვითარებადი ქვეყნების მიერ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის სამიზნეების მიღწევაზე“.**

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რთული მთიანი ტოპოგრაფიის გამო, საქართველოში განსაკუთრებით ხშირია სტიქიური მოვლენები. ღარიბაშვილმა 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქია გაიხსენა და აღნიშნა, რომ კლიმატური ცვლილებებისგან არავინაა დაზღვეული: **„ივნისში, ჩვენს დედაქალაქში მომხდარ წყალმოვარდნას 19 კაცის სიცოცხლე შეიწირა, განადგურდა ზოოპარკი. გარდა ამისა, ზღვის დონის აწევამ გამოიწვია ქარიშხლებისა და სანაპიროს ეროზიის ინტენსიფიკაცია, რამაც შედეგად მოიტანა სანაპიროებისა და ინფრასტრუქტურის განადგურება. უარყოფითი გავლენა, რომელიც კლიმატურმა ცვლილებებმა შეიძლება მოახდინოს ჩვენს ეკოსისტემასა და ეკონომიკაზე, განამტკიცებს საქართველოს ურყევ გადაწყვეტილებას დაბალი ემისიის მქონე, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით და აძლიერებს ჩვენს მოტივაციას, გავაათმაგოთ ადაპტაციისკენ მიმართული ძალისხმევა“.** პრემიერის თქმით, მას სჯერა, რომ კონფერენციაზე კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით არსებითი და ამბიციური შეთანხმება მიღწეული იქნება.

პარიზში ვიზიტით ყოფნისას, ირაკლი ღარიბაშვილმა ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაური ვოლტერის ბულვარზე კაფე „ბატაკლანთან“ იმყოფებოდა. ღარიბაშვილმა ფრანგ ხალხს საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა. ჟურნალისტებთან კი, საქართველოს მთავრობის მეთაურმა, ჟურნალისტებთან საუბრისას კი, იმედი გამოთქვა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება: **„ეს შეიძლება იყოს ხვალ, ზეგ ან მაზეგ — ამის დღეს განსჯა საკმაოდ რთულია, ვითვალისწინებთ რა იმ რეალობას, რომელშიც ვიმყოფებით“.** ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა ელის ნატო-ს ვარშავის სამიტს და ამ ეტაპზე, განსაკუთრებული მოლოდინის შექმნა არ სურს: **„ეს არის ნატო-ს გენერალური მდივნის და პარტნიორი ქვეყნების რეკომენდაციაც, რომ მოსახლეობა წინასწარ არ შევიყვანოთ შეცდომაში, ან ერთმანეთს არ შევუქმნათ მოლოდინი და შემდეგ იმედი არ გავუცრუოთ. საჭიროა, მშვიდად მივყვეთ პროცესებს, რაც ჩვენი მხრიდან არის გასაკეთებელი, ზედმიწევნით კარგად ვაკეთებთ, არ გვაქვს არავითარი ჩამორჩენა“.**

„ვერსიანიუსი“

ერდოღანი მზადაა, თანამდებობა დატოვოს, თუ თურქეთს ტერორისტებთან კავშირი დაუმტკიცდება

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლება არ არის ისეთი უნამუსო, რომ ნავთობი ტერორისტებისგან შეიძინოს.

ერდოღანი მზად არის, პოსტი დატოვოს, თუ დამტკიცდება, რომ თურქეთი ნავთობს ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოსგან“ ყიდულობს: **„თუ დამტკიცდება, ჩვენი ეროვნული სიამაყე მოითხოვს, თანამდებობა დავტოვო. ჩვენ არ ვართ იმდენად უნამუსოები, რომ ნავთობი ტერორისტებისგან შევიძინოთ. თუ დამტკიცდება, რომ ჩვენ ასეთ რამეს ჩავდიოდით, მე თანამდებობას დავტოვებ. თუ არსებობს რაიმე მტკიცებულება, წარმოადგინონ, ვნახოთ“.**

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, თურქული მხარის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების მიზეზი „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ მხარდაჭერის გამოხატვა და მათთვის კონტრაბანდული ნავთობის მიწოდების გზების დაცვა იყო.

„პია“

ვინ ჩაანაცვლა პაატა ბურჭულაძემ ქართულ პოლიტიკაში და რა შემთხვევაში ითანამშრომლებს მსოფლიო ბანი ბიძინა ივანიშვილთან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ახალი ძალის გამოჩენა ყოველთვის ახალ იმედებს და მოლოდინს უკავშირდება. თუ ამ ახალ ძალად, ამჯერად, პაატა ბურჭულაძეს მოვიაზრებთ, იგი გარდამტეხ როლს 2016 წლის არჩევნებში, ნებისმიერ შემთხვევაშიც შეასრულებს — შექმნის თუ არა პარტიას და იქნება თუ არა სიის პირველი ნომერი. ეს სწორედ ის სქემაა, რომლითაც 2012 წელს ბიძინა ივანიშვილი მოვიდა და სააკაშვილის ხელისუფლება შეცვალა. რას და ვის შეცვლის ბურჭულაძის ფაქტორი, როგორ გადალაგდება სახელისუფლო თუ ოპოზიციური სპექტრი და ვინ იქნება „ქართული ოცნების“ მემკვიდრე — ამ თემებზე, „ვერსიასთან“, ექსპერტი გია ხუხაშვილი მსჯელობს.



2016 წლის არჩევნების ორი სკანდალური სცენარი

— იმის მიუხედავად, გარდაიქმნება თუ არა პაატა ბურჭულაძის ფონდი პარტიად, ის უკვე პოლიტიკაშია. ეს სპეციფიკური რეალობაა, მაგრამ ასეა — არც ბიძინა ივანიშვილია პოლიტიკაში პირდაპირ ჩართული, მაგრამ საზოგადოებრივი მოძრაობებით, „20/30“-ისა და თუნდაც „მოქალაქის“ მეშვეობით, გავლენას მთელს პოლიტიკურ პროცესზე ახდენს და ამას არც უარყოფს. ბურჭულაძის ამ ფონდს კი, გარკვეულწილად, ამბიცია აქვს, „მოქალაქესთან“ კონკურენციაში შევიდეს. საუბარია ივანიშვილისა და ბურჭულაძის პიროვნულ კონკურენციაზე, რადგან ორივე მათგანის გაცხადებული მიზნები, თუნდაც სამოქალაქო სექტორიდან, ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ეს უკვე პოლიტიკაა, იმისგან დამოუკიდებლად, შექმნის თუ არა ბურჭულაძე პარტიას. რაც შეეხება პაატა ბურჭულაძის ფაქტორს: ახლა საქართველოს პოლიტიკური ელიტის კრიზისი გვაქვს. ამომრჩევლები პოლიტიკოსებისგან დისტანცირებულნი არიან, მათ უდიდეს ნაწილს, მოქმედ სპექტრში, არავინ მოსწონს, რასაც ყველა კვლევა აჩვენებს. ეს კი ნოყიერ ნიადაგს ქმნის ახალი ძალების გამოჩენისთვის. ფაქტობრივად, დღეს ძალაუფლება ქუჩაში აგდია და მისი ამღები არავინაა. იმ ადამიანთა შორის, ვისაც სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებზე ზეგავლენის ამბიცია აქვს, ბურჭულაძეს ყველაზე სერიოზული პერსპექტივა გააჩნია, მისი ინდივიდუალური რეიტინგიდან და ავტორიტეტიდან გამომდინარე.

— მთელი ეს შეფასება იმაზე ავაგეთ, რომ პაატა ბურჭულაძე ბიძინა ივანიშვილის კონკურენტია. თუ გავიხსენებთ, რომ 4 წლის წინ ითქვა, ივანიშვილი ვიღაც ლიდერს ნიადაგს უსუფთავებსო, რატომ არ შეიძლება, „ახალი ბიძინა“ სწორედ პაატა ბურჭულაძე იყოს და ამ ხელისუფლების კონკურენტი კი არა, მემკვიდრე აღმოჩნდეს?

— არაფერს გამოვრიცხავ. პირიქით, მეტსაც გეტყვით — შესაძლოა, არავითარი გარიგება და შეთანხმებული მოქმედების სქემა არ არსებობდეს, მაგრამ ბურჭულაძისა და ივანიშვილის ძალების რაღაც ფორმით გაერთიანება თავად რეალობამ მოიტანოს. არ არის გამორიცხული, პროცესმა თავად უბიძგოს „ოცნებას“ ბურჭულაძესთან კოორდინაციისკენ. სულ ორი ვარიანტი არსებობს:

> **ან „ოცნებასა“ და ბურჭულაძეს შორის უკვე არსებობს შეთანხმება, რაც ჩემი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა. ბურჭულაძის განაცხადში ჯერ მხოლოდ ის იკითხება, რომ მისი და „ოცნების“ სეგმენტი ერთი და იგივეა და ისინი კონკურენტები არიან; მეორე ვარიანტი კი ისაა, რომ შესაძლოა, შეთანხმება არჩევნების შემდეგ შედგეს და პოსტსაარჩევნო კოალიცია გახდეს საჭირო. მეორე ვარიანტი იმაზეა დამოკიდებული, აიღებს თუ არა ივანიშვილი უმრავლესობას. დღეის მდგომარეობით, ვფიქრობ, ასეთი გარიგება არ იგეგმება.**

— არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომელიც ლევან ვასაძის პაატა ბურჭულაძით ჩანაცვლებას ითვალისწინებს. თუკი აქამდე ვასაძეც იყო გარკვეული ფაქტორი, რომელიც რუსეთს უნდა გაეაქტიურებინა, მისი პერსონა გაცილებით რეიტინგული და მისაღები ბურჭულაძით ხომ არ შეიცვალა?

— საკითხს ამ კონტექსტში თუ განვიხილავთ, ბუნებრივია, ბურჭულაძე ბევრად უკეთ გამოიყურება, ვიდრე ვასაძე. ვასაძეს ბევრ საკითხზე ცალსახა, რადიკალური პოზიცია ჰქონდა და მისი დიაპაზონიც გაცილებით შეზღუდული იყო. გარდა ამისა, ძალიან მყარი იყო მისი ბმა რუსეთთან. ამ მხრივ, ბურჭულაძის დიაპაზონი ბევრად ფართოა, ხოლო მისთვის პრორუსულობის დაბრალება არცთუ მარტივი ამოცანაა. ამ მიმართულებით მის მიმართაც იქნება შემოტევები, მაგრამ ამას ასე მარტივად ვერ დაამტკიცებენ. სხვათა შორის, ბურჭულაძემ ეს საფრთხეც გაითვალისწინა და თავის გარშემო ე.წ. ბუფერული ბეგრაუნდი კონკრეტული ადამიანების შემოკრებით. მისი მხრიდან ეს დაახლოებით იგივე ტექნოლოგიური სვლაა, რაც, თავის დროზე, ივანიშვილმა გააკეთა, როცა კოალიციაში თავისუფალ დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს დაუძახა.

— პოლიტიკური ოპონენტები, როგორც წესი, პროდასავლური იმიჯის გამო წინწამოწეულ ასეთ ძალებს, „ლეღვის ფოთლებს“ უწოდებენ. როგორ ფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა?

— სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს პარტიები ლეღვის ფოთლები იყვნენ და ყველაფერი „ქართული ოცნების“ შენიღბვის მიზნით გაკეთდა. 2012 წელს ჩვენ ნამდვილად არ ვაყალიბებდით პრორუსულ ძალას, უბრალოდ, ეს იყო კონტრზომები და პრევენცია მოსალოდნელი პროპაგანდის წინააღმდეგ. არც ის მგონია, რომ პაატა ბურჭულაძე პრორუსია, მაგრამ როგორც წესი, ახალ პოლიტიკურ ფიგურებს სწორედ მსგავსი განცხადებებით უტევენ ხოლმე. ძალიანაც ლოგიკურია, ასეთ დროს ადამიანმა ზომებს მიმართოს და თავი ამ პოლიტტექნოლოგიით დაიცვას. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ბურჭულაძის გარშემო თავმოყრილი ადამიანები „ლეღვის ფოთლები“ არიან.

— მეორეა, რამდენად იქნებიან ისინი სიაში. თუ ეს ხალხი მხოლოდ ბუფერს ქმნის პროდასავლური იმიჯისთვის და შემდეგ, საარჩევნო სიაში ვერ ვიხილავთ, ამაში იგულისხმება „ლეღვის ფოთლობაც“.

— თუ ბურჭულაძის ფონდი პარტიად ჩამოყალიბდა, მასში პოლიტიკური კომპონენტის გაძლიერების აუცილებლობა იმის მიუხედავადაც გაჩნდება, იქნებიან თუ არა სიაში ეს ადამიანები. წინა პლანზე ახალი ხალხის წამოწევის საჭიროება უკვე ჩანს. რბილად რომ ვთქვათ, დღევანდელი შემადგენლობა არასაკმარისია სერიოზული პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად. შესაბამისად, მათი ჩანაცვლება უნდა მოხდეს.

— და ვინ იქნებიან ის „ახალი სახეები“, ვინც ბურჭულაძემ უნდა წამოწიოს: ალასანიას, რომელსაც უკვე ესაუბრა, ინაშვილი, ბურჯანაძე, ნათელაშვილი თუ სხვები?

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი პრობლემაა. პრობლემაა ასევე, კოალიციური განვითარება და სხვა პარტიებთან გაერთიანებაც. დღევანდელი გადმოსახედიდან, ისეთი ძალები არ არიან, რომელიც ბურჭულაძეს აქტივის სახით შეემატებოდა. იგივე ირაკლი ალასანია მას ელექტორატს საკმაოდ შეუზღუდავს და ბურჭულაძე, მასთან გაერთიანებით, უფრო მეტ ამომრჩეველს დაკარგავს, ვიდრე შეიძენს. ერთადერთი, რამაც შეიძლება რომელიმე პარტიასთან დაჯგუფება აიძულოს, წმინდა ტექნიკური და ინფრასტრუქტურული საკითხია. მთელი ქვეყნის მასშტაბით პარტიული ინფრასტრუქტურის აშენება საკმაოდ გრძელი და რთული პროცესია, დრო კი არც ისე ბევრი. ამიტომ შესაძლოა, ბურჭულაძემ კოალიცია კი არ გააკეთოს, რომელიმე ნომინალური პარტია შეისრუტოს და მისი სტრუქტურები გამოიყენოს.

— ასე უკვე მოექცა ნინო ბურჯანაძე ქრისტიან-დემოკრატებს, მაგრამ ვინაა დღეს ისეთი, ვისაც პარტიული სტრუქტურა მოწესრიგებული აქვს, მაგრამ მაინც ნომინალური ძალაა?

— ზუსტად ესაა პრობლემა — საერთოდ არის თუ არა დღევანდელ სპექტრში პარტია, ვისი შესრუტვაც აწყობს ბურჭულაძეს? შესაძლოა, ვიღაცას არ აქვს სტრუქტურები, მაგრამ აქვს მისი შექმნის ორგანიზაციული გამოცდილება და ეს გზა სწრაფად გაიარონ, თუ ბურჭულაძე ამ პარტიების „ერთ და ორკაციან“ ამბიციებს დააკმაყოფილებს. ამ სქემაში, ბურჯანაძისა და ქდმ-ს მაგალითზე უკეთ ზურაბ ჟვანია ჯდება, როცა არჩევნებში თავისი პარტიით ვერ შევიდოდა, სხვა ძალა შეისრუტა და ამ ტექნოლოგიამ იმუშავა.

— მაშინ იმ სქემასაც აქვს არსებობის უფლება, რომ როგორც ძმები გაჩეჩილაძეების პერიოდში, ახლაც შეიკრიბოს გაერთიანებული ოპოზიცია და მათ ბურჭულაძე ჩაუდგეს სათავეში. ასეთი რამ რეალურია?

— ასეთი ეკლექტური გაერთიანებები მხოლოდ მაშინ ამართლებს, როცა ყველა, ფასეულობებისა და პლატფორმების მიუხედავად, ერთის წინააღმდეგ ერთიანდება. ამის მაგალითი 2012 წელს ვნახეთ, როცა „ოცნება“ გაერთიანდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. „ოცნებას“ კი დღეს ყველაფერი შეიძლება დავაბრალოთ, რეჟიმობის გარდა. მგონია,

> **წინასაარჩევნოდ, პარტიები უფრო თემატურად დაჯგუფდებიან და ერთი დიდი გაერთიანება არ შედგება. თუმცა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა „შუა გაიკრიფოს“ და დანარჩენ ოპოზიციას ამ სცენარისკენ თავად უბიძგებს. ეს ძალიან სახიფათო თამაშია — რაც უნდა სუსტი იყოს ოპოზიცია, როცა მთელი პარტიული ელიტა, მემარცხენე-მემარჯვენეებიანად, შენს წინააღმდეგ ერთიანდება, ეს ცეცხლთან თამაშის ტოლფასია. მე უფრო იმ საშიშროებას ვხედავ, რომ ეს პარტიები წინასაარჩევნოდ კი არა, არჩევნების მერე დაჯგუფდებიან.**

— პროცესები, ალბათ, ქუჩაში გაგრძელდება და მას ნაციონალური მოძრაობა ჩაუდგება სათავეში?

— ასეა, პროცესები ქუჩაში გადაინაცვლებს და არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები გაჩნდება. ამიტომ, უფრო პოსტსაარჩევნო კრიზისს ველი, რომელიც არსებული ხელისუფლებისთვის ფატალური შეიძლება აღმოჩნდეს. ამ მოძრაობას სათავეში ნაციონალები ჩაუდგებიან თუ არა, სხვა საკითხია. მათ იციან, რომ ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებიან, ამიტომ მიზნად არჩევნების მოგებას კი არა, „ოცნების“ წაგებას ისახავენ.

> **2016 წლის არჩევნებზე ნაციონალებს ნეგატიური მიზანი აქვთ — „ოცნების“ გაშვება სურთ და მერე, შესაძლოა, პარლამენტსშიგნით რაღაც კოალიციებზეც დაიწყონ საუბარი. ამას არჩევნების შედეგების ეჭვქვეშ დაყენებითა და რევოლუციური პროცესების ინიცირებით შეძლებენ. გამოვრიცხავ, რომ „ოცნებას“ გაურიგდნენ, რადგან მათი მიზნები პოლიტიკურ ჩარჩოებში აღარ ეტევა — უკვე პიროვნული ვენდეტა სურთ ივანიშვილზე. თუმცა ნაციონალები, მიზნის მისაღწევად, შესაძლოა, თემატურ თანამშრომლობაზე პატრიოტთა ალიანსთანაც კი წავიდნენ, პოსტსაარჩევნო კრიზისის ფორმატში.**

ვფიქრობ, ეს სცენარი ყველაზე რეალურია. არჩევნებზე დაბალი აქტივობის პირობებში, როცა ხელისუფლება არ მიდის საარჩევნო კანონის ცვლილებაზე და მაჟორიტარებისა და ადმინისტრაციული რესურსის მეშვეობით, დიდი ალბათობაა, რომ მთელი პოლიტიკური ელიტა მის წინააღმდეგ გაერთიანდეს. მით უმეტეს, ხელისუფლება არჩევნების შედეგების დაწერას ტექნიკურად, პროფესიონალურად ვერ შეძლებს, ამ პროცესებს, „რუსთავი 2“-ის გარდა, სხვა არხებიც გააშუქებენ და ამგვარად, შესაძლოა, არჩევნების გაყალბების ძალიან დრამატული სურათი დაიდოს. ამას ის მოყვება, რომ ყველა კონსოლიდირებულად გააპროტესტებს შედეგებს. ბურჭულაძე კი მთელ ამ აპოკალიპტურ სცენარში, ერთადერთ ნათელ წერტილად დარჩება და ნიჰილისტურად განწყობილი საზოგადოების დიდ ნაწილს მიიზიდავს. მთელ ამ პროცესში, ბურჭულაძე პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ. თუმცა არც ისაა გამორიცხული, პროცესი ისე წავიდეს, რომ ხელისუფლებამ გარკვეული რადიკალიზმისკენ მასაც უბიძგოს. ყველა შემთხვევაში, მთავარი მოთამაშე მაინც ხალხია, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც კონკრეტული პოლიტიკური ინტერესი არ აქვს და არც ის უნდა დაუშვას, სხვის პოლიტიკურ ინტერესსა და „ცხელ თავებს“ ქვეყანა გადაყვეს. სხვა ძალა, ვინც ამ ამოცანას შეასრულებს, უბრალოდ არ არსებობს.

— არც ბიძინა ივანიშვილი? სხვათა შორის, მან განაცხადა, 2016 წელს არჩევნებში იმაზე აქტიურად ჩავერთვები, ვიდრე 2012-ში ვიყავიო.

— ეს მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს. ბიძინა ივანიშვილი ხვდება, რომ საქმე არც ისე კარგადაა და მიაჩნია, პროცესებს შემოაბრუნებს. მისი ჩართვის შემთხვევაში, „ოცნება“ საგრძნობლად გაძლიერდება, მისი ხელისუფლებიდან გასტუმრების საფრთხე კი შემცირდება. თანაც თუ კოალიციის შიგნით რაღაც პროცესები მიდის, ივანიშვილი მათ კონსოლიდაციას შეუწყობს ხელს და შიგნიდან გაამაგრებს.

— დღეს რა ამაგრებს კოალიციას, თუ არა პრაგმატული აზრი, რომ ცალ-ცალკე ისინიც ნომინალურები გახდებიან და შეძლებს თუ არა ივანიშვილი „ოცნების“ გაცოცხლებას?

> **დღეს კოალიციაში პარტიებს საკუთარი უსუსურების გრძნობა აერთიანებთ. პროცესში ივანიშვილის ჩართვა კი მისთვისაც კარგია და ქვეყნისთვისაც. ჯერ ერთი, ამით გაიზომება, მართლა აქვს თუ არა „ჭარბი ნდობა“ და არის თუ არა მისი ფაქტორი არჩევნების ბედის გადამწყვეტი. და მეორე, დღეს მას ბევრი ისეთი რამ ჩრდილში ყოფნის გამო ბრალდება, რაშიც არც მონაწილეობს. ამიტომ თუ ბიძინას ლეგალიზება მოხდება პოლიტიკაში, ყველასთვის კარგი იქნება.**

ივანიშვილს გარკვეული რესურსი ნამდვილად აქვს, „ოცნებას“ მიეხმაროს. თუმცა ვფიქრობ, ის კრიტიკული წერტილი, როცა შეეძლო, გადამწყვეტი როლი ეთამაშა, უკვე გავიარეთ. ჩემი აზრით, დღეს იგი საკუთარ შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებს.

„პრეზიდენტი ჩასაფრებულია, რომ გუნდს, რომელმაც მოიყვანა, როგორმე კვანტი დაუდოს და დააზიანოს!“

ბიძინა ივანიშვილის ექსკლუზიური ინტერვიუ

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი „გურია ნიუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ პოლიტიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ „რაღაც საოცრება მოხდა“. ივანიშვილი საკუთარ თავს „სათადარიგო მოთამაშედ“ განიხილავს და საზოგადოებას სწორი ანალიზის გაკეთებისკენ მოუწოდებს. „ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს პირველ ნაწილს მცირე შემოკლებით.

— საბედნიეროდ, არ არის ისეთი ვითარება, არაფერი იმის მსგავსი არ ისმის, რომ პოლიტიკაში ჩემი მოსვლის საჭიროება იყოს, არათუ აუცილებლობა. მე ვარ კარგი სათადარიგო მოთამაშე. ღმერთმა ნუ ქნას და გახდეს საჭირო, დაბრუნება მომიხდეს. ხელისუფლებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში დავბრუნდები, თუ რაღაც საოცრება მოხდება — მაგალითად, მოქმედი მთავრობა ისე მოიქცევა, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება და ხალხს აღარ მოუსმენს, მოხდება ხელისუფლების მსგავსი უზურპაცია, რაც მოხდა სააკაშვილის დროს. დღეს ჩვენ გვყავს სახალხო ხელისუფლება, კარგი პრემიერი, პარლამენტის კარგი თავმჯდომარე...

— ასე თქვენ ფიქრობთ, თუმცა, ამის მიუხედავად, ხალხი მაინც ითხოვს პოლიტიკაში თქვენს დაბრუნებას. იმიტომ ხომ არა, რომ სამართლიანობის აღდგენა, ეკონომიკური წინსვლა, საკადრო პოლიტიკის გამართვა თქვენს სახელთან და წინასაარჩევნო დაპირებებთან ასოცირდება?

— შეიძლება, მაგრამ არის ერთი პრობლემა — როცა ასეთი ჩამონათვალი კეთდება, მედიაც სცოდავს ცოტას და საზოგადოებაც სწორ ანალიზს არ აკეთებს. არ მგონია, დაპირებების რომელიმე ნაწილი არ შევასრულეთ. მითქვამს და ათასჯერ შემიძლია გავიმეორო, რომ ვიზიარებ ჩემს წილ პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, ხელისუფლებაში არ ვარ, სიამოვნებით ჩავერთვებოდი პოლემიკაში. თუ გნებავთ, კონფერენცია მოვაწყოთ სპეციალისტებთან ერთად და განვიხილოთ, რა დავპირდით საზოგადოებას და რა არ შევასრულეთ...

— ბატონო ბიძინა, თქვენი განცხადების თანახმად, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის მესამე წელი ყველას ჯიბეს უნდა დატყობოდა, რაც ნამდვილად არ მომხდარა... ამ სიტყვებს ხშირად გახსენებენ ოპონენტები...

— დიახ, შემახსენეს. როცა ეს ვთქვი, ნამდვილად არაკორექტული ვიყავი, რადგან, პრაქტიკულად, შეუძლებელია ყველა ადამიანის ჯიბეს დაემჩნეს ეკონომიკური აღმასვლა. რეალურად იმაზე მეტი უმუშევრობაა, რასაც სტატისტიკა წერს, ვინაიდან ღარიბ გლეხურ მეურნეობაში დასაქმებულებს დასაქმებულებად მიიჩნევენ, მაგრამ მათი შემოსავალი ძალიან მწირია. ყველა ჯიბეს დაეტყობა — ვფიქრობ, ეს წამოცდენაა. იმდენად არაა ჩემი, რომ ესეც გადასამოწმებელი მაქვს...

— ნამდვილად თქვით, ბატონო ბიძინა, ერთ-ერთ წინასაარჩევნო შეხვედრაზე.

— ვერ მოვიცალე, რომ გადავამოწმო. ეკონომიკა კარგად ვიცი და ვიცი, რა დრო სჭირდება, რომ გამართული ეკონომიკა მივიღოთ... გეტყვით მოკლედ, რა მქონდა მხედველობაში, როცა ვამბობდი, რომ საქართველოში ეკონომიკური აღმასვლა დაიწყება — ის, რასაც თანამედროვე ცივილიზაციამ მიაღწია. ეს არის კონკურენტუნარიანი ბაზარი, გამართული პოლიტიკა, სტაბილური ეკონომიკა, კერძო საკუთრება უნდა იყოს დაცული — ეს არის ძირითადი, რის საფუძველზეც მოახერხეს ამ ქვეყნებმა განვითარება. მხედველობაში მქონდა, რომ საქართველოში მყისიერად შევქმნიდით ამ პირობებს. პირველსავე წელს მოვახერხეთ, რომ ბიზნესში მთავრობის მხრიდან ხელების ფათური შეწყდა, კონკურენტუნარიანია ბაზარი და პრივილეგირებული ბიზნესმენები არ არსებობენ, რაზეც ისინი შფოთავენ. მთავრობა ვალდებულია, რომ მათ ბაზრების მოპოვებაში დაეხმაროს.

— ამ მთავრობის პირობებში არ გსმენიათ პრივილეგირებული ბიზნესმენების შესახებ?

— თუ მსმენია, რეაგირება მომიხდენია.

— ავიღოთ, თუნდაც, შავლიაშვილის და ჯანყარაშვილის თემა.

— გარკვეული კითხვები იყო ჯანყარაშვილზე და ღარიბაშვილმა დასკვნა გააკეთა.

— გააკეთა თუ გააკეთებინეთ, ბატონო ბიძინა?

— არა, ვინ გააკეთებინებს?! პატარა ბავშვს ვერ გააკეთებინებ. ცოტნე, ჩემი უმცროსი შვილი, 10 წლისაა და იმას ვერ გააკეთებინებ ძალით ვერაფერს და სხვას როგორ გავაკეთებინებ? მე არ მაქვს არავითარი ბერკეტი. საზოგადოება და განსაკუთრებით ოპოზიცია, შფოთავს — ივანიშვილი მართავს კულისებიდან და ღარიბაშვილი არის მარიონეტიო. ასე არ არის და არც შეიძლება, იყოს. მე უნდა მქონდეს ბერკეტი, რომ ვმართო. რა ბერკეტი უნდა გამაჩნდეს, გარდა იმისა, რომ არჩევნებზე მხარი არ დავუჭირო მას და საჯაროდ წავიდე მის წინააღმდეგ? აი, პრეზიდენტია ნათელი მაგალითი — მოვიყვანეთ და მეორე დღეს წავიდა ჩვენ წინააღმდეგ.

— პრეზიდენტთან კონკრეტული პრობლემა რა იყო — მხოლოდ სასახლის არდატოვება?

— არაკორექტული იყო მისი ქმედებები და გაუგებარი. არჩევნებამდე ერთს ამბობდა და შემდეგ საპირისპირო გააკეთა. ჩასაფრებულია, რომ გუნდს, რომელმაც მოიყვანა, როგორმე კვანტი დაუდოს და დააზიანოს. დღესაც ეს პოზიცია აქვს, როგორმე დააზიანოს გუნდი, როგორმე ამათი საწინააღმდეგო რამე გააკეთოს. წაკითხულიც არ აქვს კანონი. პირველსავე კანონზე შევეკამათე, როცა პირველ ვეტოზე იყო საუბარი — ხომ ვიცი, რომ წაკითხულიც არ გაქვს კანონი-მეთქი, უარიც არ უთქვამს. აღარ მინდა გავაგრძელო, რადგან ერთ-ერთ გადაცემაში მხოლოდ მაგ თემაზე საუბარს ვაპირებ. ზოგადად, პრობლემა არის ის, რომ ეს კაცი პრინციპულად შეიცვალა არჩევნების შემდეგ. გუნდმა მოიყვანა და იგნორი გაუკეთა ამ გუნდს პირველსავე დღეს. ასეთი რამ მსოფლიო პოლიტიკაში არ მომხდარა.

— ამ საკითხებზე პრეზიდენტს ესაუბრეთ?

— როგორ არა, მთელი ორი თვე ვსაუბრობდით. ამ საუბრის ნაწილი გავასაჯაროე, ნაწილს საჭიროების მიხედვით გავასაჯაროებ.

— რას ნიშნავს საჭირო გახდება? ამას იმის გამო ხომ არ ამბობთ, რომ პრეზიდენტის რეიტინგი ბოლო კვლევების მიხედვით იზრდება?!

— არ ვიცი, ვინ რის საფუძველზე აკეთებს მაგ კვლევებს ან რატომ იწევს რეიტინგი ზემოთ... ეს ცალკე გასაანალიზებელი საკითხია.

— რა მოხდა გიორგი მარგველაშვილსა და თქვენს შორის?

— მგონი, ვისაც ანალიზის უნარი აქვს და თვალს ადევნებს, რაც ვთქვი, იცის, რომ პასუხი არც ერთზე არ გაუცია არავის, თვითონ მარგველაშვილსაც არ გაუცია პასუხი იმ შეკითხვებზე, რაც დავსვი. არც ერთ მის მხარდამჭერს, ადვოკატს თუ გუნდის წევრს არ გაუბედავს და არ უთქვამს, რომ არაკორექტულად ვსვამ შეკითხვებს. ზოგადად ამბობენ — ებრძვის პრეზიდენტის ინსტიტუტს.

— ამბობენ იმასაც, რომ პრეზიდენტმა არ გაიარა თქვენს ჭკუაზე და ამიტომაც მოხდა თქვენ შორის დაპირისპირება...

— რომელ ჭკუაზე არ გაიარა?! როდესაც სააკაშვილზე მიდიოდა გამოძიება პროკურატურაში, საქმეს უკანონოდ ჰქონდა დადებული გრიფი „საიდუმლო“. პრეზიდენტის ერთ-ერთი პრეროგატივა იყო, მოეხსნა. სამჯერ მიმართა პროკურატურამ, ხელს გვიშლის გამოძიებაში და გრიფი მოხსენიო, მაგრამ არც ერთხელ არ მოუსმინა. როგორც კი მოეხსნა გრიფი და გაასაჯაროეს, მაშინვე განაცხადა, რომ გრიფი მოხსნილი იყო. ის ხელს უშლიდა გამოძიებას, იცავდა სააკაშვილს. ახლაც ვსვამ კითხვას — რატომ არ ხსნიდა გრიფს? ამბობენ, პრეზიდენტის ინსტიტუტს ებრძვისო — სად გაგიგიათ, რომელიმე ქვეყანაში იკრძალებოდეს რომელიმე ინსტიტუტის კრიტიკა?!

— გასაგებია, რომ პრეზიდენტი თქვენს შენიშვნებს არ იღებს. მთავრობა როგორ იქცევა — გიჯერებენ?

— რას ჰქვია, მიჯერებენ?! ძალიან იშვიათია, შეიძლება, ერთი-ორი მაგალითი ნახოთ, რომ რომელიმე მინისტრს დავურეკო. ამის ნათელი მაგალითია „თავისუფალი დემოკრატები“. სანამ დაიწყებდნენ პოლიტიკურ თამაშებს, ნაცვლად იმისა, დახმარებოდნენ გამოძიებას, პოლიტიზირება დაიწყეს იმ კითხვების, რაც გახლდათ თავდაცვის სამინისტროში და გუნდი ერთ მუშტად შეიკრა. თქვან, გაიხსენონ ეს მინისტრები, რომლისთვის დამირეკავს და მიმიცია მინიშნებები. ესაა ჩემი დამოკიდებულება. ვისაც შეიძლება დავურეკო, ესაა ეკონომიკური გუნდი. ეკონომიკაში ძალიან ბევრს ვმუშაობ, შენიშვნებსაც ვაძლევ და იდეებსაც ვაწვდი. დავრეკავ მხოლოდ ეკონომიკურ გუნდთან მხოლოდ იმისთვის, რომ ეკონომიკა აღორძინდეს, რამეთუ ესაა ყველა პრობლემის გასაღები დღეს საქართველოში. ასეთი დამოკიდებულება მაქვს ყველასთან. არც ის იფიქროთ, ღარიბაშვილს აყენებს შეურაცხყოფასო. ღარიბაშვილი საკმაოდ განათლებული, პრინციპული და კარგი ორგანიზატორი გამოდგა.

— რას ფიქრობთ, ირაკლი ღარიბაშვილს ნაკლი არ აქვს?

— გინახავთ უნაკლო ადამიანი? თუ ვინმე იტყვის, რომ უნაკლოა, სწორედ ეს არის უდიდესი ნაკლი. არ არსებობს იდეალური ადამიანი. არ არსებობს არც ერთი მოხელე, საქმის კეთების დროს გადაცდომა არ ჰქონდეს. მთავარია, სწორი დამოკიდებულება ჰქონდეს. რა მაქვს მხედველობაში — ძალიან გაფაციცებით ვადევნებ თვალს, რაც დავუტოვე გუნდს, ის არ დაირღვეს. პირველ რიგში, კანონი უნდა დაიცვან და რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით მეტი მოეთხოვება მას. ის, რომ ჩვენ ვაცხადებთ, არ ვერევით კერძო საკუთრებაში, ის, რომ ჩვენ ვაცხადებთ, რაც ექვემდებარება საქართველოს კონსტიუციას — კეთილი ინებე და დაიცავი! ის, რაც ხდებოდა ადრე — ხალხის სამსახურში კი არ მოდიოდნენ, ხალხის უფროსებად გვევლინებოდნენ, — არ ხდება. თამასა, როგორიც დავტოვე, პრინციპულად დაცულია. გადაცდომებს რაც შეეხება, ჯანყარაშვილიც შეიძლება გავიხსენოთ, ხვედელიძით დავიწყოთ.

— „ცოლის ნათესავი რომ ნათესავი“ არ არის, ეს რას ნიშნავს?

— ნახევრადხუმრობით თქვა კაცმა, თუ მაგას გადაცდომებს ეძახით. ეგეთ სიტყვებში „გამოკიდება“ არ შეიძლება. ერთ გუნდს ემსახურებოდა მთელი საქართველო. დღეს ასეთი რამ არ ხდება. აიღეთ ნებისმიერი სახელმწიფო, გინდათ ევროპული და გინდათ — ამერიკული და ნახეთ, იქ რა ხდება პოლიტიკაში.

დასასრული მე-5 გვერდზე

ვერსიანიუსი

მამა ილია კარტოზიას ოჯახს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ დაწესებული ჯილდო გადაეცა

დიმიტრი ქუმსიშვილმა მამა ილია კარტოზიას ოჯახს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ დაწესებული ჯილდო გადასცა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა 2014 წელს ადრიატიკის ზღვაში ტრაგიკულად დაღუპული არქიმანდრიტის, მამა ილია კარტოზიას ძმას, ნიკა კარტოზიას ის სიგელი გადასცა, რომლითაც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ მამა ილია კარტოზია ზღვაში ჩადენილი განსაკუთრებული სიმამაცისთვის დააჯილდოვა.

„გასულ კვირას ვიზიტით გახლდით ლონდონში, სადაც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კოჯი სეკიმიცუმ პირადად გადმომცა მამა ილია კარტოზიასთვის დაწესებული ეს ჯილდო მისი ოჯახისთვის გადასაცემად. მსურს, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას და მის ხელმძღვანელს ჩვენი გმირულად დაღუპული თანამემამულის თავგანწირვის განსაკუთრებული დაფასებისთვის და მათ მიერ დაწესებული ეს ჯილდო გადავცე მამა ილია კარტოზიას ძმას, ბატონ ნიკა კარტოზიას. აღსანიშნავია, რომ ასეთი დონის საზღვაო ჯილდო აქამდე საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ მიუღია“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

მცხეთის, დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილია კარტოზია 2014 წლის 28 დეკემბერს იტალიურ ბორან Norman Atlantic-ზე გაჩენილი ხანძრის დროს უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. ცეცხლმოკიდებულ გემზე მიმდინარე სამაშველო ოპერაციის დროს, მამა ილიამ სამაშველო ნავში თავისი ადგილი ბავშვიან ქალბატონს დაუთმო, თავად გემბანზე დარჩა და მაშველებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ, რომელიც ზღვაში ჩადენილი განსაკუთრებული სიმამაცისთვის ყოველწლიურად აჯილდოებს ადამიანებს, 2014 წელს ტრაგიკულად დაღუპული ქართველი სასულიერო პირი გამოჩენილი განსაკუთრებული სიმამაცისთვის დააჯილდოვა.

„პია“

ექსკლუზიური ინტერვიუ შვედეთის ელჩის მოადგილესთან

რა მიზნით სწავლობს გუსტავ ვინსტრანდი ქართულს

მაკა ლომაძე
555-27-95-13

გუსტავ ვინსტრანდი საქართველოში შვედეთის ელჩის მოადგილეა. 25 წლიდან, თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს. ახალგაზრდა შვედ დიპლომატს მიაჩნია, რომ ენა კომუნიკაციაზე გაცილებით მეტია, ამ ფონზე, მოსალოდნელიც იყო, რომ ქართულის სწავლას გეგმავს. მისი სპეციალობა, პოლიტიკური მეცნიერებებია, თუმცა, ელჩის მოადგილეს პოლიტიკაზე საუბარი არ სურს. ამიტომ, „ვერსია“ გუსტავ ვინსტრანდის პორტრეტს გთავაზობთ.

— ბატონო გუსტავ, დიპლომატობა ბავშვობიდან გინდოდათ?

— 15 წლის ასაკში, სამხრეთ ამერიკაში ბოისკაუტად გამგზავნეს. 60 000 სკაუტი ვეწვიეთ ჩილეს. ეს იყო ჩემი პირველი დამოუკიდებელი ვიზიტი უცხოეთში, თანაც, სულ სხვა კონტინენტზე. ვნახე აბსოლუტურად განსხვავებული კულტურა. გავიაზრე, თურმე რამხელა ყოფილა მსოფლიო. დღეს, ყველაფერი გაცილებით გაადვილებულია. მოგზაურობა ყველას არ შეუძლია, მაგრამ ამის შანსი, შედარებით ბევრს აქვს. სწორედ მაშინ, 15 წლის ასაკში გამიჩნდა სურვილი, შემემცირებინა ღარიბებსა და მდიდრებს შორის არსებული უფსკრული და ვყოფილიყავი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მონაწილე.

— როგორ ფიქრობთ, დიპლომატს, შესაბამისი უნარები და თვისებები დაბადებიდან უნდა დაყვეს თუ სწავლაც შეიძლება?

— მჯერა გენეტიკის, მაგრამ უფრო მეტად – გარემოებების. ვფიქრობ, სწორ გარემოში ადამიანი ნებისმიერ პროფესიაში წარმატებული გამოვა... მაგრამ ცხოვრებაში დიპლომატი იყო და მუშაობდე ამ სფეროში, განსხვავებული ცნებებია. საქართველოში ჩამოსვლამდე ბრიუსელში ვმუშაობდი ანტიდემპინგის სფეროში. რაღაც თვისებები მართლაც საჭიროა: კომუნიკაბელობა, ხალხთან ურთიერთობის სიყვარული. ეს სფერო ადამიანს საშუალებას აძლევს, იმუშაოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. არის სფეროების შეცვლის შესაძლებლობაც — სრულიად ტექნიკური დარგიდან, შესაძლოა, კულტურის სფეროშიც კი ამოყო თავი. ეს პოზიტიურია განვითარებისთვის.

— დატვირთული სამუშაოს პარალელურად, ტურისტად ყოფნის ფუფუნება მცირე ხნით მაინც თუ გაქვთ ხოლმე?

— დიახ. ჩემს საერთაშორისო კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ისაა, რომ მუდმივად აღმოჩენებში ვარ. მოგზაურობის გარდა, ენების შესწავლაც აფართოებს ადამიანის მსოფლმხედველობას. ენა ხომ მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება არ არის – მისი საშუალებით გრძნობ, როგორ აღიქვამენ ერები სამყაროს.

— ბედნიერება რას ნიშნავს თქვენთვის?

— ტიპური შვედური პასუხი ასეთი იქნება — კმაყოფილება. ამისთვის, აუცილებელია, სიცოცხლეს ნათელი მხრიდან უყურო, მაგრამ ამავე დროს, მიიღო მისი უარყოფითი მხარეებიც, რადგან დაღმართის გარეშე, აღმართს ვერ შეიგრძნობ. ბედნიერი ის კი არაა, ვინც მუდამ იღიმის, არამედ ის, ვინც იღებს ყველაფერს, რასაც ცხოვრება სთავაზობს. შვედები ზოგადად, ძალიან ბედნიერი ერია. ამისთვის მათ ბუნება სჭირდებათ: უნდა ხედავდნენ მთებს, დღის სინათლეს, ღრუბლებს... აი, ეს მიყვარს თბილისშიც – სახლიდან გამოსული, 20 წუთში ლისის ტბაზე აღმოჩნდები და კავკასიონის ქედს შეავლებ თვალს. ვფიქრობ, ეს საერთო სკანდინავიური ხასიათია: ბედნიერების შეგრძნებისთვის გვჭირდება განცდა, რომ ბუნების ნაწილი ვართ. თანაც, ასეთი ადგილები საქართველოში ნაკლებად გადატვირთულია და ამიტომ, აქ მართლა ვისვენებ ბუნებაში.

— რა არის თქვენი ჰობი?

— მიყვარს კულინარია. ეს კიდევ ერთი გზაა, აკეთო საერთაშორისო აღმოჩენები. ამასწინ, ვეგეტარიანული ჩაქაფული გავაკეთე და ძალიან ბედნიერი ვიყავი. მიყვარს ცხობაც, 6 წლიდან ვამზადებ. და-ძმა მყავს და პატარები რომ ვიყავით, ხშირად არ მოგვწონდა რასაც გვიმზადებდნენ. ერთ დღეს, მშობლებმა გამოგვიცხადეს: „ხუთნი ვართ ოჯახში. გავინაწილოთ დღეები. თითო დღე გექნებათ, როცა თქვენვე მოამზადებთ და აღარ იბუზღუნებთ“. აი, ასე, დემოკრატიულად მოაგვარეს ეს პრობლემა. თან, შრომასაც მიგვაჩვიეს. ასევე, გვქონდა ჩვენი განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც უნდა დაგველაგებინა. აღზრდის ეს მეთოდი ყველა ბავშვზე არ ჭრის, მაგრამ მე ნამდვილად შემაჩვია პასუხისმგებლობას... გარდა ამისა, ვმღერი და აქაც დავდივარ სიმღერის გაკვეთილებზე. ვსწავლობ ქართულ ენას. ადრე, მინის ნივთებსაც ვამზადებდი. მიყვარს ფილმების ყურებაც. თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე შვედეთიც წარადგენს თავის პროგრამას. ერთ-ერთია „მტრედი, რომელიც ტოტზე შემოჯდა და ყოფნა-არყოფნაზე ჩაფიქრდა“. ავტორი, შვედური ირონიით, გაზვიადების ხერხით უსვამს ხაზს ცხოვრების აბსურდულობას. ჩემი საყვარელი ფილმია კაროლ რიდის „მესამე კაცი“, სადაც მოქმედება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ვენაში მიმდინარეობს.

— წიგნი, რომელსაც გამოარჩევდით?

— ასტრიდ ლინდგრენი შვედური ლიტერატურის ფუნდამენტია. რასაც ბავშვობაში წაიკითხავ, ის გაძლევს სამართლიანობის შეგრძნებას და ის გასწავლის, როგორია სწორად მოქცევა. წელს, „პეპი გრძელიწინდას“ 70 წელი შეუსრულდა. ასტრიდ ლინდგრენის ჯილდოც არსებობს შვედეთში და ის საბავშვო ლიტერატურაში ნობელის ტოლფასია. ბოლოს, ლაშა ბუღაძე წავიკითხე ინგლისურად. იმედი მაქვს, მეტ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას გავეცნობი, რადგან მაინტერესებს, როგორ აფასებენ ქართველი მწერლები თქვენს უახლოეს წარსულს, 90-იან წლებს. ახლა ქართულ ნოველებს ვკითხულობ შვედურად. ბოლო წიგნი, რომელიც მომეწონა, არის პატრიკ ნესის იაპონურ ფოლკლორზე დაფუძნებული რომანი.

— სამი მთავარი თვისება, რაც ადამიანს უნდა ჰქონდეს?

— თანაგრძნობა. უმნიშვნელოვანესია, პატივისცემით და სიყვარულით მოექცე სხვებს – ეს საზოგადოების საძირკველია; ასევე არ უნდა იყო ეგოისტი, მაგრამ არც ალტრუისტი, რაღაც შუალედური უნდა მოძებნო, მესამე კი იქნებოდა იუმორის გრძნობის ქონა.

„პრეზიდენტი ჩასაფრებულია, რომ გუნდს, რომელმაც მოიყვანა, როგორმე კვანტი დაუდოს და დააზიანოს!“

მე-4 გვერდიდან

ასეთ საკითხებში ჩვენი სახელმწიფო არის კონკურენტუნარიანი განვითარებული ევროპის თუ ამერიკის სახელმწიფოსთან. მაგრამ ეს არ არის, რაც იყო წინათ, რომ ერთ გუნდს ემსახურებოდნენ და ამათ პრეტენზიები ისევ აქვთ, რომ ეს ასე უნდა იყოს — სააკაშვილია საქართველო და ყველაფერი უნდა გაკეთდეს სააკაშვილისა და დანარჩენი ფეოდალებისთვის, რომლებიც მას ემსახურებოდნენ. ჩვენ პრინციპულად გადავალაგეთ ეს.

რა თქმა უნდა, ვიღაცამ იქ ნათესავი დანიშნა, ვიღაცამ ზედმეტი პრემია გამოიწერა, მაგრამ ასეთი რამ ხდება მთელ მსოფლიოში. შეგიძლიათ გადაამოწმოთ კვლევებით — ამ კუთხით ბევრ ქვეყანას გადავუსწარით. ჩვენ ვართ დემოკრატიის მშენებლობის პროცესში, ეს არის დაუსრულებელი პროცესი — დემოკრატია უნდა აშენდეს. დღეს ჩვენი პრობლემაა ეკონომიკა, ბევრჯერ მითქვამს და დღესაც ვიტყვი, რომ ათჯერ ნაკლებია ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული სასაქონლო ერთეული. ჩვენ ამ მხრივ ათჯერ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს. ჩვენ ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთეთ, მაგრამ დამოკიდებულება, ზოგადად, არ შეცვლილა. გასული წელი ეკონომიკა არ იყო სახარბიელო, მაგრამ საქართველო პირველი იყო ევროპაში ეკონომიკური ზრდით. ნაციონალების დროს 9%-იც კი ჰქონდათ ზრდა, მაგრამ პირველები არასდროს ყოფილან. 10 და 15-პროცენტიანი ზრდა რომ იყოს ეკონომიკაში, ამას ჭირდება ათწლეულები. 2030 როცა ავირჩიე სამიზნედ და საზოგადოება „20/30“ ჩამოვაყალიბეთ, სწორედ ეს გავითვალისწინე. 2030 წელს საქართველოს ეკონომიკურად გამართული იქნება.

— ბატონო ბიძინა, 2030 წლამდე დიდი პრობლემა გვაქვს — მცოცავი ოკუპაცია. როგორ აფასებთ ხელისუფლების რეაგირებას ამ ფაქტზე?

— რა თქმა უნდა, თვალყურს ვადევნებ და ვიცი ყველაფერი. აღმაშფოთებელია, რასაც მეზობელი სახელმწიფო აკეთებს და ისეთი ტიპის პროვოკაციები, რაც ბოლომდე ვერ ამიხსნია. რა არის ეს — დაშინების პოლიტიკაა, თუ რა?! 200-300 მეტრით ე.წ. საზღვრის გადმოწევით კოლოსალურად ვერავინ გამდიდრდება, მაგრამ ეს არის მძიმე და დანაშაულებრივი პროვოკაცია. მთავრობას აქვს ადეკვატური რეაგირება, რეალობიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ჩვენ უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას, აკეთებენ თუ არა იმ მაქსიმუმს, რისი გაკეთებაც შეუძლიათ. ვთქვათ, განცხადებები ყველა დონეზე, ტუსკის ჩამოსვლა. მართალია, ის ამისთვის არ ჩამოსულა, მაგრამ დაემთხვა ამ ყველაფერს.

ყველაზე საოცარი რა გახლავთ — „თავისუფალი დემოკრატების“ ორი მინისტრი რომ აკეთებს აქცენტს ამაზე, მათ დროსაც მოხდა ამის მსგავსი, საუბედუროდ.

რა გააკეთეს უფრო მეტი, გინდა საგარეო, გინდა ევროინტეგრაციის მინისტრმა, რომ გამოდიან და განცხადებებს აკეთებენ?... კონსტრუქციულობა, არგუმენტები და სინდისი არ უნდა დავივიწყოთ. პოლიტიკა იმის კი არ არის, სინდისი გავირეცხოთ და რაც მოგვესურვება, იმაზე ვისაუბროთ.

პატარა ქვეყნის შვილები ვართ, ყველა ერთმანეთს ვხვდებით და ვუყურებთ. მთავრობა აკეთებს ძალიან მიახლოებულს იმასთან, რაც შეუძლია.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ და შევაფასოთ ყველა, მათ შორის, მთავრობაც და ხელისუფლებაც იმის მიხედვით, რეალობიდან გამომდინარე, რისი გაკეთება შეიძლება და რას აკეთებენ.

ახლა ყველაზე მეტი კრიტიკოსები, რომლებიც ყველაზე მეტად აკრიტიკებენ დღევანდელ ხელისუფლებას, არიან ნაციონალური მოძრაობის წევრები. მათ გააკეთეს სწორედ ეს უბედურება, მათ დაგვიტოვეს. თუ არა მათი გაუგებარი, უაზრო ქმედებები, როგორც საბავშვო ბაღის ბავშვების, ასე არ იქნებოდა. დღეს მათ გაუბედურებულ და გაპარტახებულ დატოვებულ შედეგებს ვიმკით. მათ მოახერხეს და მიიყვანეს აქამდე ეს საქმე. ეს მათი უტვინობის და გამოუცდელობის, მათი დაუდევარი ქმედებების შედეგია, დღეს კი გამოდიან და ისევ ხმაურობენ.

მთავრობას უნდა მოვთხოვოთ, მაქსიმუმი გააკეთოს. მაქსიმალურად უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში საერთაშორისო თანამეგობრობა, მაქსიმალურად ვითანამშრომლოთ და დავარწმუნოთ ჩვენი მეზობელიც და უფრო შორეულიც, რომ საქართველო არასდროს შეეგუება ტერიტორიების დაკარგვას...

— ნაციონალები ახსენეთ, ამბობენ, ამ მოძრაობიდან წასული დეპუტატები თქვენ დააფინანსეთ. მათთან შესაძლოა ითანამშრომლოთ?

— არ დამიფინანსებია. მათთან თანამშრომლობას არ გამოვრიცხავ და გოგა ხაჩიძესთან, ზურაბ ჯაფარიძესთან და ნაციონალებიდან წასულ სხვა დეპუტატებთან შესახვედრად მზად ვარ. ნაციონალურ მოძრაობას არანაირი პერსპექტივა არ აქვს, მით უფრო, რომ დღესაც იგივე ძალადობრივ იდეოლოგიას აგრძელებს.

— ლარის კურსის ცვლილებასა და იპოთეკარების პრობლემას როგორ აფასებთ?

— რისკია როდესაც კრედიტს იღებ. საზოგადოება უნდა შეეცადოს განვითარდეს, ეს შეურაცხმყოფელი არ არის. ეს სწორი მოწოდებაა. ვხედავთ რამდენი გაუბედურებული იპოთეკარია. თავის დროზე, როცა გაიგეს, რომ თურმე კრედიტის აღება სახლის ჩადებით შეიძლება, არავის უფიქრია, რომ მერე იმ კრედიტს დაბრუნება უნდა. ასეთების დიდი ნაწილი დაზარალდა. უამრავი ოჯახი გაუბედურდა ამის გამო. რაც შეეხება პირად ბანკირს, ეს არ არის ფუფუნება. ნებისმიერ ბანკში ვიღაც გემსახურება და მას უნდა დაუსვა კითხვები, მაგრამ ამას მინიმალური ცოდნა სჭირდება. შესაბამისად, მე ეს მქონდა მხედველობაში, როდესაც პირად ბანკირზე ვსაუბრობდი. ყველა კლიენტმა ბანკისგან მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია უნდა მოითხოვოს. დარწმუნებული ვარ იპოთეკარების 90%-ს არ წაუკითხავს კონტრაქტი, ისე აიღო კრედიტი. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ეს ეპატიება, მაგრამ რა ვუყოთ ამდენ გაუბედურებულ ოჯახს, რომელთაც პასუხს ვერ ვცემდი და დღესაც პასუხი არ მაქვს. აჭარის მაგალითზე ვცდილობდით მე და არჩილ ხაბაძე, როდესაც პრემიერი ვიყავი, რომ იქ რაღაც პრეცენდენტი შეგვექმნა და იპოთეკარებისთვის გვეშველა და პრინციპში იქ რაღაც შეღავათი ვნახეთ, ამის საქართველოზე გადატანა მინდოდა და არ მოხერხდა. ძალიან რთულია, ჩვენს ბიუჯეტს არ აქვს ამის საშუალება.

— პირადად თქვენ როდის იყავით ბანკში ბოლოს და როდის აიღეთ სესხი?

— კრედიტი ბოლოს როდის ავიღე აღარც მახსოვს. როდესაც ბიზნესში ვიყავი აუცილებლად მექნებოდა კრედიტი. დღეს, პრინციპში, ბანკში არ დავდივარ, რადგან ტელეფონითაც შემიძლია ეს გავაკეთო და არა მარტო მე, როგორც შეძლებულმა ადამიანმა, ნებისმიერს შეუძლია ბანკში არ მივიდეს და ტელეფონით მიიღოს მომსახურება.

— ჩვენ ყოველდღიურად გვიწევს ამასთან შეხება და ვიცით როგორ უჭირთ ადამიანებს.. ვიცით, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ორი თვის პენსიის, სამი თვის დახმარების წინასწარ ასაღებად მიდის ბანკში იმისთვის, რომ შვილებს საჭმელი უყიდოს. ძნელია ადამიანს კონტრაქტის წაკითხვა მოსთხოვო მაშინ, როცა სახლში მშიერი შვილი ელოდება...

— ძალიან ვუთანაგრძნობ ამ ადამიანებს, მაგრამ ერთი მეორეს არ ცვლის. არ არის სწორი აქცენტი გაკეთებული. სახლში რომ მშიერი შვილი გელოდება, რა თქმა უნდა რთულია და საუბედუროდ, ბევრია ასეთი, მაგრამ ის, რომ მას ხელშეკრულების წაკითხვის დრო არა აქვს, ვერ დაგეთანხმებით. მას სხვა პრობლემები აქვს — ის, რომ სამუშაო ადგილი არ შეუძლია იშოვოს ნორმალურად, ის რომ ბიზნესი, ეკონომიკა დაბალ დონეზეა. ძირითადი პრობლემა არის ის, რომ არ არის სამუშაო ადგილები, მაგრამ ახლა ის არ თქვათ, რომ სამუშაო ადგილების არქონა ცალმხრივია. ამის პარალელურად საზოგადოების პრობლემა ისაა, რომ არ გვაქვს პროფესიები. განათლება და ეკონომიკა ერთ კონტექსტში განიხილება. ეს მთელ მსოფლიოში ასეა. ჩვენ გვაკლია განათლება, პროფესიონალიზმი და ეს არის მიზეზი, რომ არ გვაქვს სამუშაო ადგილები, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები... ეს პროცესია და მთავარია, სწორი გზით ვიაროთ.

ლეგენდარული მძარცველი

როგორ მოიკიდა ზურგზე პატიმარმა ფულით გატენილი სეიფი და რატომ შეეწირნენ ამ ამბავს კრიმინალური ავტორიტეტები

პატიმარი №0578

თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლასთან ერთად, კრიმინალიც იხვეწება. თუ ადრე გასაქურდ ბინას კრიმინალები დღეების განმავლობაში უთვალთვალებდნენ, ახლა მანქანას აჩერებენ, ვიდეოთვალს აყენებენ, მერე ახვევენ და საჭირო ინფორმაციას იღებენ. ადრე ასე არ იყო და შესაბამისად, დამნაშავეებიც უფრო შემოქმედებითად უდგებოდნენ საქმეს.

რუსთავის №17 დანესებულებაში ზუსტად ეს პერიოდი იდგა — ზამთრის მოახლოებას გრძნობდნენ პატიმრები, ცენტრალური გათბობა ჩართული იყო და ასე თუ ისე, არ ციოდა, მაგრამ მოჟამული ამინდი პატიმრების მოჟამულ განწყობას ბოლომდე აფუჭებდა. ე.წ. ბლატატა მაყურებლის კამერაში იყო შეკრებილი, ჩაის წრუპავდა და ჩუმად იყო. ან რა უნდა მოეყოლათ, მოსაყოლიც მოყოლილი იყო და სათქმელიც — ნათქვამი.

„მოვკვდი უსაქმურობით. არ შეიძლება ვინმე წამოვიკიდოთ? ახალი ეტაპი მაინც მოვიდეს, ახალი პატიმრები... გავერთობით, რა“, — თქვა ზონის მაყურებელმა.

„ვინ უნდა წამოვიკიდოთ? ეგეც მოგვბეზრდა უკვე. რამე ახალია მოსაფიქრებელი, თორემ რა გაატარებს ამხელა ზამთარს? თან ექვსის ნახევარზე გვკეტავენ უკვე და მთელი დღე კამერებში ვართ. აღარ თენდება ხოლმე, ისე იწელება ღამე“, — უკმაყოფილოდ თქვა ერთ-ერთმა.

მოულოდნელად კამერის კარი გაიღო და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მაყურებელმა შემოყო თავი. „სპეცეტაპია მეექვსედან, ორი პატიმარი მოიყვანეს, ერთს არ ვიცნობ, მეორე გოჩა ჩ-ა“, — თქვა და გავიდა.

მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ზონის „პალაჟენეცი“ პატიმარ №0578-ს მიუბრუნდა და...

„აი, ლეგენდას რომ ეძებ ხოლმე, კრიმინალის პროფესორს... ეგ გოჩაა, ვინც არის და რაც არის. მაგან რომ საქმე გააკეთა, მთელი საბჭოთა კავშირი ლაპარაკობდა და ეძებდა. ახლავე ნუ ეცემი, ასაკშია უკვე, დაასვენე, ამოასუნთქე და მერე დაელაპარაკე“.

№0578-მა არაფერი უთხრა, გარეთ გავიდა და ოფიცრების ოთახში შეიხედა, სადაც ორ ახალ პატიმარს საკნებში ანაწილებდნენ. ერთი შედარებით ახალგაზრდა იყო, მეორე — ასაკოვანი, მთასავით კაცი, ოდნავ ბეჭებში მოხრილი. ეს იქნებაო გოჩა, გაიფიქრა და კამერაში ავიდა.

მეორე დღეს, მაყურებლების კამერაში ჩასულ №0578-ს გოჩაც იქ დახვდა, ერთმანეთს გააცნეს. ახალი პატიმარი ზოგად სიტუაციას კითხულობდა. მერე ფეხზე გადაისვა ხელი, მენისკი მაქვს მგონი, მაგრამ ოპერაციას არ მიკეთებენ, გამოკვლევაზეც არ წამიყვანესო, ჩუმად თქვა. მაყურებელმა თავი დაიქნია, ეგებ აქ გავახერხო რამეო და გოჩაც მძიმე ნაბიჯით გავიდა საკნიდან.

„რაზე ზის?!“ — იკითხა გოჩას გასვლის შემდეგ №0578-მა.

„მკვლელობაზე. უფრო სწორედ, დაჭრაზე დაიჭირეს, პროცესი ექვსი თვე გაგრძელდა და ექვსი თვის შემდეგ სისხლის მოწამვლით მოკვდა ის კაცი. ექიმებმა ბრალეულობა აიცილეს და ამას მუხლი გადაუკვალიფიცრეს და მკვლელობა შეტენეს. დანით დაჭრილი კაცი რომ ექვსი თვე იცოცხლებს და მერე მოკვდება, ექიმების ბრალია, აბა, ვისი, ბლიად?!“ — გაბრაზებით თქვა მაყურებელმა.

„მატიანე, შენ თუ გაინტერესებს, პოლიციელი მოკლა, ოღონდ არ იცოდა, პოლიციელი რომ იყო. უფორმოდ იყო და ამის შვილს აეტორღიალა, ამან დაინახა, შემოარტყა, იმან იარაღი ამოიღო და სანამ გადატენიდა და გაისროდა, ამან დანა დაარტყა“, — უთხრა №0578-ს პატიმარმა, რომელიც ზონაზე ერთი თვის მოსული იყო და კაიბიჭობას ცდილობდა თუ იჩემებდა.

„მომისმინე, ყმაწვილო. მეორედ მატიანეს დამიძახებ და მაგ პრიშჩიკებიან სახეს გაგიერთიანებ. მე არც შენი მატიანე ვარ და არც ძმაკაცი, „შუტკა“ რომ გამიხსენი უცებ“, — სერიოზული სახით უთხრა №0578-მა.

ახალმა პატიმარმა მაყურებლებს შეხედა, მიხვდა, მტყუანი იყო, ხუმრობა პატიმართან, რომელთანაც არ ძმაკაცობდა, არ შეიძლებოდა. ამიტომ, ვერაფერი თქვა. №0578-მა მაყურებლებს თვალი ჩაუკრა და კამერიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ გოჩას კამერაში იჯდა და მშვიდად უყვებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, მტკივანი ფეხი რომ დაამებოდა.

„მამაჩემს ჰქონდა მენისკი და სანამ ოპერაციას გაიკეთებდა, ექიმებმა დაუნიშნეს ვარჯიშები და მასაჟები. შენც გააკეთე, დაგიამდება“, — უხსნიდა გოჩას და ისიც მორჩილად უსმენდა. მერე კი, რომ არ ელოდა, ისე ჰკითხა: „ადრე იქნება თუ გვიან, მაინც გკითხავ იმ საქმეზე, თურმე მთელი საბჭოთა კავშირი რომ ალაპარაკდა და ეჭვი მაქვს, ოპერაციისთვის წაგიყვანენ, მერე კაცმა არ იცის, აქ დაგაბრუნებენ თუ არა და ეგებ ახლა მომიყვე“.

„ვინ ხარ შენ?!“ — გაოცებით შეხედა გოჩამ.

„პატიმარი №0578. შეგიძლია მაყურებლებში გაარკვიო, ნაბოზვარი არ ვარ, უბრალოდ ცოტა მეტად ცნობისმოყვარე ვარ“, — ღიმილით უთხრა №0578-მა.

„ჰა, ჰა�ა... არ მინდა გარკვევა, ვიცი ისედაც. მეექვსეში აქედან წამოსული „არესტანტები“ ყვებოდნენ შენზე, ტვინში სისხლს ჩაგიქცევს, სანამ არ მოუყვებიო და ვხვდები, რა ბურღიც იქნები“, — გაეცინა გოჩას.

„არა, თუ გინდა, ნუ მომიყვები... პრობლემა არ არის, ხვალ მოვალ, ზეგ, მაზეგ...“ , — გაუცინა №0578-მაც.

„დღეს მართლა ძალიან მტკივა ფეხი, გამაყუჩებელს ვიშოვი რამეს და ეგებ ხვალ იყოს, ასე ვერ მოვყვები, საუბარიც მიჭირს“, — უთხრა გოჩამ და ნახევარ საათში რამდენიმე აბი გამაყუჩებელიც ჰქონდა და სპეციალური მალამოც. წამლები საკუთარი ხელით მიუტანა №0578-მა და კამერიდან გასვლას აპირებდა, როცა გოჩამ მიაძახა, ერთ საათში მოდი, გამივლის ალბათო. ერთ საათში №0578 გოჩას წინ იჯდა.

„მოკლედ, გაგანია კომუნიზმის დროს სეიფი მოვიპარე ერთ-ერთ რაიონში, პენსიების და ხელფასების ფული იყო, 120 ათასი მანეთი. იცი, ეს მაშინ რა თანხა იყო? ნახევარი საქართველო დაიჭირეს მაშინ, ქურდები, უბრალო ავტორიტეტები... ყველა ჩართული იყო ამ ამბავში. მარტო ვიყავი საქმეზე და ამიტომ, არავინ არაფერი იცოდა. რუსეთში წავედი და იქ დავიწყე ნელ-ნელა ფულის ხარჯვა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ჩემი ბიძაშვილი დაიჭირეს. ვერ გეტყვი, როგორ, მაგრამ აღიარა დანაშაული. მე უკვე რუსეთში ვიყავი და იქიდან დავრეკე, ეგ გაუშვით, მე ვარ დამნაშავე-მეთქი. არ დაიჯერეს. მაშინ ის ვუთხარი, მაგ კაცმა რომ აღიარა, სეიფი სად არის, ის ათქმევინეთ-თქო. რაც არ იცოდა, რას იტყოდა?! მე ვუთხარი, სადაც იყო სეიფი. მე ძებნაზე დამსვეს, ის გამოუშვეს. 17 წელი ვიმალებოდი და 17 წელი ვერ დამიჭირეს, მერე, როცა „საიუზი“ დაინგრა, ჩამოვედი, ცოტა ფული გავმაზე და გადავრჩი. სულ ეს იყო და ახლა ამბობენ, ლეგენდა ხარო. ლეგენდა არა, კვახი. ჯანზე ვიყავი, წამოვიკიდე ის სეიფი და რვა კილომეტრი ვათრიე ზურგით. ამიტომ ვერ მიპოვეს, არც მანქანა და არც სხვა რამე“, — დაასრულა მოყოლა გოჩამ.

გოჩა ჩ. ამ ამბიდან რამდენიმე დღეში გულის შეტევით გარდაიცვალა.

„ელექტრონული ბიბლიოთეკა კარგია, მაგრამ ნაბეჭდი წიგნის კითხვას სხვა მაგია აქვს“

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

თბილისის მეტროებში უკვე რამდენიმე კვირაა უფასო ღ ელექტრონული ბიბლიოთეკა განთავსდა. სოციალური პროექტი თბილისის მერიის, „ტექნოლოგიური განვითარების ფონდისა“ და ელექტრონული წიგნების სახლ „საბას“ ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. მიზანი, მოსახლეობაში კითხვის ჩვევის პოპულარიზაციაა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში, ელექტრონული ბიბლიოთეკის ბანერების მეშვეობით, მეტროს რამდენიმე სადგურში მგზავრებს შეეძლებათ სპეციალური QR კოდების გამოყენებით უფასოდ ჩამოტვირთონ სასურველი წიგნის ელექტრონული ვარიანტი. საინტერესოა, როგორ შეხვდა სიახლეს საზოგადოება. როგორც აღმოჩნდა, ეს ის საკითხია, რომლის მოწინააღმდეგეც, ვერ ვიპოვეთ — თბილისის მაცხოვრებლები მეტროსადგურებში ელექტრონული ბიბლიოთეკის გახსნას დადებით ფაქტად აფასებენ.

მკითხველთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ინტერნეტში წიგნების კითხვა კომფორტულიცაა და დროის დაზოგვის საშუალებაც. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მათთვის ელექტრონული ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობაა.

ელექტრონულ ბიბლიოთეკას სამოთხედ მიიჩნევს მისი აქტიური მომხმარებელი **თიკო ლევანიშვილი**, რომელიც აცხადებს, რომ ინტერნეტში წიგნების კითხვით დროსა და თანხებს ზოგავს: **„ელექტრონული ბიბლიოთეკა საოცარი სიახლეა. არის წიგნები, რომლებიც არ მაქვს, არც ჩემს მეგობრებს აქვთ, ვერც შევიძინე და ვერც ბიბლიოთეკაში წასასვლელად გამოვნახე დრო. ინტერნეტში, ჩემთვის საინტერესო წიგნების ჩამონათვალია. ეს ნამდვილი სამოთხეა მკითხველისთვის. კომფორტულიცაა და ხელმისაწვდომიც“.**

მარიამ ჯავახიშვილი ერთ-ერთია, ვინც ელექტრონულ ბიბლიოთეკას ინფორმაციის მიღების საუკეთესო წყაროდ მიიჩნევს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ნაბეჭდი წიგნის კითხვას, სხვა მაგია აქვს: **„წიგნი კომფორტულია იმ თვალსაზრისით, რომ ამბის აღქმაში მეხმარება, ფურცლის ფაქტურა, ყდა, სუნი, ყველაფერი ქმნის განწყობას, ფორმასაც კი აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, თუმცა, ცხადია, შინაარსი მთავარია. რაც შეეხება ელექტრონულ წიგნებს, თუ ძალიან მაინტერესებს რომელიმე ნაწარმოები, ტელეფონში ვტვირთავ. პრაქტიკულია, სულ თან მაქვს, ღამით არც სანათი მჭირდება“.**

ელექტრონულ ბიბლიოთეკაში კითხულობს წიგნებს 23 წლის **იზა აბშილავაც: „ელექტრონული ბიბლიოთეკის დადებითი მხარე ის არის, რომ შემიძლია ნებისმიერი წიგნი უფასოდ, ძალიან იაფად წავიკითხო. უარყოფითი მხარეც აქვს — კომპიუტერთან თვალები მეძაბება. თუმცა, წიგნის წასაკითხად და ინფორმაციის მისაღებად, მაინც კარგი საშუალებაა“.**

საქართველოს პრეზიდენტის სასახლე მსოფლიოს ცნობილი შენობების გვერდით მოხვდა

ავსტრიული ჟურნალი იმ ქვეყნების ჩამონათვალს აქვეყნებს, რომლებმაც საფრანგეთს სოლიდარობა ორიგინალურად გამოუცხადეს

ლევან ხვედელიძე
„ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

როგორი წინსვლაც უნდა დაფიქსირდეს ქვეყნის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც უნდა ვამტკიცოთ, რომ საქართველო „დემოკრატიის შუქურაა“, მაინც არ გვაქვს დღეს ისეთი მდგომარეობა, რომ მოწინავე და წარმოსაჩენი ქვეყნების სიაში ხშირად მოვხვდეთ. ფაქტი, რომელზეც ამჯერად გიამბობთ, ნამდვილად სასიამოვნო გამონაკლისია — ავსტრიულ პოპულარულ ჟურნალში, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სიაში მოხვდა. ფრანგული დროშის ფერებში განათებული სხვადასხვა სახელმწიფოს ცნობილი შენობების გვერდით, საქართველოს პრეზიდენტის სასახლის ფოტოც დაიბეჭდა. მსოფლიომ ამგვარად გამოხატა სამძიმარი და სოლიდარობა პარიზის ტერაქტების მერე, ფრანგი ხალხის მიმართ.

შეიძლება ითქვას, პრეზიდენტის სასახლე, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი თანამედროვე შენობაა, რომელიც შემოგვრჩა და გაყიდვას გადაურჩა. სხვა დანარჩენი, გაასხვისეს. მაგალითად, ბათუმში, უნივერსიტეტის ულამაზესი შენობაც გამოდგება, რომლის მფლობელებიც დღეს, გავრცელებული ინფორმაციით, ჩინელები არიან. დღეს თვალი პრეზიდენტის სასახლეს დაადგეს, საბაბით — მისი შენახვა ძვირი გვიჯდებაო. ეს მაშინ, როცა სხვადასხვა უწყებაში, თანამშრომლებისთვის, სოლიდური პრემიებისა თუ დანამატების გამოწერას არ ერიდებიან და ამისთვის, ურცხვად ხარჯავენ თანხებს ბიუჯეტიდან. ამას კაბინეტებში, ძვირადღირებული ავეჯი, თანამედროვე ტექნიკა, „ჯიპებიც“, რაიონის გამგეობების თანამშრომლების ძვირადღირებული მივლინებები ევროპაში ან პირადი ბიზნესპროექტებიც დაუმატეთ და შემდეგ თავად განსაზღვრეთ, ეკადრება თუ არა ქვეყანას, იწუწუნოს, პრეზიდენტის სასახლის შენახვაზე. კულუარებში ამბობენ, ივანიშვილმა სასახლის გაყიდვა ჩაიფიქრა, რადგან ექსპრემიერს, ყველაფერი, რაც სააკაშვილთან ასოცირდება, თვალში ეკალივით ეჩხირება. ვითარება კი ისეთია, ალბათ მალე, ხალხს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაცვა მოუწევს, არადა ქვეყნის პირველი პირი იმიტომ ავირჩიეთ, აქეთ დაიცვას მოქალაქეების უფლებები.

ავსტრიის პოპულარულმა ჟურნალმა, სახელწოდებით STERN, რაც ქართულად, „ვარსკვლავს“ ნიშნავს, სტატია პარიზის ტრაგიკულ მოვლენებს, ტერაქტებს მიუძღვნა, რასაც 130-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ათეულობით ადამიანი კი დაშავდა. გამოცემა, ინფორმაციულ სტატიასთან ერთად, აქვეყნებს ფოტოებს, სადაც სოლიდარობის ნიშნად, რიო-დე-ჟანეიროს, სან-ფანცისკოს, შანჰაის, ტოკიოს ცნობილი შენობებისა თუ ქანდაკებების გვერდით, იერუსალიმის წმინდა კედელი და საქართველოს პრეზიდენტის სასახლეცაა განათებული საფრანგეთის ნაციონალური დროშის ფერებში.

იქნებ კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, ღირს თუ არა ამ შენობიდან პრეზიდენტის გამოყვანა-არგამოყვანაზე, სასახლის გაყიდვაზე ამდენი სჯა-ბაასი. დიახ, ივანიშვილმა ამოიჩემა ეს სასახლე. ფიქრობს, რომ ამით პრეზიდენტს გაუსწორდება არდამორჩილებისთვის, მაგრამ სინამდვილეში, ქვეყნის იმიჯი ზარალდება. ჩვენ კი, ისღა დაგვრჩენია, ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტოთ, ვიამაყოთ ამ თანამედროვე შენობით თუ ივანიშვილის პირად სურვილებს დავემორჩილოთ.

ადამიანების ბედი ტირანიაში

ლევან სეფისკვერაძე

როდესაც კითხულობენ, თუ რა არის ტირანია და რატომ უნდა ვებრძოლოთ მას, როგორც წესი, არასოდეს არსებობს ერთი და ნათელი პასუხი. პასუხი იმისა, რომ ტირანია იმაზე უფრო დიდი საშინელებაა, ვიდრე შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ტირანიის „საჭადრაკო დაფა“ კი საუკუნეების წინ იღებს სათავეს... უძველეს დროში, ჰიმალაის მთებში არსებობდა ერთი პატარა თავისუფალი სოფელი, რომლის მოსახლეობაც არც ერთ რაჯას არ ემორჩილებოდა. ამ სოფლის მოსახლეობიდან თითქმის ყველა ადამიანს ადრეული ასაკიდან ზრდიდნენ სხვადასხვა მეცნიერული ცოდნით, რათა ყველა ის საიდუმლო ამოეხსნათ, რასაც მათ მჩაგვრელი რაჯები უმალავდნენ. მათ ასევე, მიაჩნდათ, რომ სწორედ განათლებისა და პროგრესის საფუძველზე დაუპირისპირდებოდნენ ტირანიას.

როგორც ბალადა გვამცნობს, სწორედ ამ პატარა სოფლის მეცნიერმა ხალხმა გამოიცნო ჭადრაკის თამაშის საიდუმლოება და მათი მეშვეობით მოაღწია ამ თამაშმა ჩვენამდე (სხვათა შორის, ეს მითი ძალიან ჰგავს „გულივერის მოგზაურობაში“ აღწერილი მფრინავი ქალაქის ამბავს, სადაც სწორედ ასეთი მეცნიერებებით შეშლილი ხალხი ცხოვრობდა).

ახალი წელთაღრიცხვის ადრეულ საუკუნეებში ჭადრაკი მრავალი სხვა, უკვე ახალი ელემენტით შეივსო. გარდა ამისა, ინდოეთში დამკვიდრდა (უფრო სწორად, ინდოელ დიდებულებში) ჭადრაკის თამაშის, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ძალზე უცნაური სტილი ანუ რაჯებმა, ჭადრაკის სათამაშოდ მისი იდეური მთავარი დანიშნულების ადგილი ნამდვილ ბრძოლის ველად გამოიყენეს.

ყველაფერი კი აი, როგორ ხდებოდა: დიდ, უზარმაზარ მინდორზე, რომელსაც ორივე მხრიდან შემაღლებული ადგილები აუცილებლად უნდა ჰქონოდა, იხაზებოდა უზარმაზარი საჭადრაკო დაფა, თავისი ყველა უჯრით. უჯრის ზომა სიგრძე-სიგანეში, დაახლოებით, 10 მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო. ჭადრაკის ქვებად, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ცოცხალი ადამიანები, მონები გამოიყენებოდა.

ყველა მონა იცვამდა სხვადასხვა ქვების ფერების შესაბამისად (შავები — შავად, თეთრები კი — თეთრად). ჩაცმულობაც და აღჭურვილობაც ისეთი ჰქონდათ, როგორც დღევანდელ საჭადრაკო ფიგურებს — მხედარი ცხენზე იჯდა, ტურას ციხესიმაგრის ეფექტის შესაქმნელად აგურებიანი კედლის გამოსახულებიანი ტანსაცმელი ეცვა. ასევე, შესაბამისად იყო ჩაცმული სარდალი, პაიკი, მეფე, დედოფალი ანუ ყველა მონას შორიდანვე შეამჩნევდა ადამიანი, თუ რომელი ჭადრაკის ფიგურის გამომხატველი იყო.

ჭადრაკის მოთამაშეები თამაშის დაწყებამდე იკავებდნენ თავ-თავიანთ ადგილს „საჭადრაკო მინდვრის“ შემაღლებულ გორაკებზე, რამდენიმე მათი მსახურის თანხლებით. ყოველი სვლა კეთდებოდა მთავრების ბრძანების საფუძველზე. თუკი მთავარი ბრძანებდა, ვთქვათ, „ტურა“, სამი უჯრით წინ უნდა გაწეულიყო, მისი მსახური მთავრის ამ სვლას სპეციალურად ამისთვის მოტანილი ხისგან დამზადებული ხმის გამაძლიერებლით შესძახებდა და ჭადრაკის დაფაზე განთავსებული მონა-ტურაც აუცილებლად ასრულებდა ამ ბრძანებას.

მოწინააღმდეგე მთავარიც ამავე მეთოდით აკეთებდა სვლას და ასე გრძელდებოდა მთელი პარტია თამაშის დამთავრებამდე. ახლა ყველაზე საინტერესოს მივადექით, არც მეტი არც ნაკლები, ეს ცოცხალი ფიგურები ერთმანეთს მართლა ხოცავდნენ. გასათვალისწინებელია, რომ მაშინდელი ინდური რწმენა-შეხედულებების თანახმად, ბატონს არდამორჩილებული მონა ჯოჯოხეთში ხვდებოდა.

არსებობდა ისეთი იდეოლოგიაც, რომ, თუკი ამქვეყნიურ ცხოვრებაში მონა მთავრის ყველა ბრძანებას უყოყმანოდ შეასრულებდა, მეორე ცხოვრებაში ის თავად იქნებოდა მთავარი (სხვათა შორის, ბუდისტურ რელიგიაში მსგავსი დოგმები დღესაც არის შემორჩენილი) და სწორედ მეორე ცხოვრებაში კარგი მომავლის იმედად მყოფი მონებიდან ზოგიერთები თავადაც კი გამოთქვამდნენ სურვილს, რომ დიდი საჭადრაკო დაფის „ფიგურები“ გამხდარიყვნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიის დამთავრების შემდეგ რაჯების ბრძანებით, ცოცხლად დარჩენილ „ფიგურებსაც“ ხოცავდნენ, რათა მათ იქ ნანახი და ნასწავლი ჭადრაკის საიდუმლოება არ გაეთქვათ.

1987 წელს, ამერიკელმა არქეოლოგებმა, ქალაქ ბომბეისთან ახლოს აღმოაჩინეს სწორედ ჩვენს მიერ აღწერილ უზარმაზარ ველზე დახაზული ცოცხალი „საჭადრაკო დაფა“, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე ნაპოვნია უამრავი (ხუთი ათასზე მეტი) ადამიანის ძვლების ნაშთები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სწორედ იმ მონების ძვლებია, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ცოცხალ საჭადრაკო ქვებს წარმოადგენდნენ ტირანი მთავრების ხელში.

ტირანიის ხელში ხომ ადამიანებს ჭადრაკის ქვებზე მეტი დანიშნულება არასოდეს ჰქონიათ...

კომპანია RMG-ის, სახელმწიფოსა და პროფკავშირული აქტიურობის შესახებ

ალექსანდრა აროშვილი

მოსახლეობის გაუტეხელობითა და პროფკავშირების ბრძოლით მიღწეული, კომპანიისათვის ძალით წართმეული მუშათა სამართლიანი და ლეგიტიმური მოთხოვნების დიდი ნაწილი მხოლოდ ფურცელზე დარჩა გაწერილი, სახელმწიფოს სრული ჩაურევლობისა და კომპანიის ადმინისტრაციის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად კი, მინიმუმამდე შემცირდა შეთანხმების შესრულებისათვის საჭირო ზეწოლის მექანიზმები. თავად გაფიცვამ, რომელიც ხელშეკრულებით გაწერილი შეთანხმების სრულად შესრულების შემთხვევაში, უპრეცედენტოდ წარმატებული იქნებოდა და სამომავლოდ კიდევ უფრო უკეთესი პირობების მიღწევის შესაძლებლობებს გააჩენდა მშრომელებისათვის, მოსახლეობისათვის ნეგატიური მნიშვნელობა შეიძინა და საბოლოოდ გაბატონდა შიში და უიმედობა, რამაც, თავის მხრივ, სრული შემგუებლობა წარმოშვა გაბატონებული რეალობისადმი...

ბოლნისის რაიონში მდებარე დაბა კაზრეთი ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი საწარმოთია ცნობილი, რომელსაც ამჟამად უმსხვილეს კერძო კომპანიას, RMG (Rich Metal Group)-ს ეკუთვნის. დასახლება მეტ-ნაკლებად იზოლირებულია სხვა დასახლებული პუნქტებისაგან და დაბის სტატუსს სწორედ ე. წ. „სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის“ დაარსების შემდეგ ატარებს — 1970 იან წლებში, დღევანდელი სახით არსებული დასახლება სწორედ საწარმოში მომუშავე მუშებისათვის აშენდა. საბჭოთა კავშირში, მსგავსი მიზნით შექმნილი მუშათა საცხოვრებელი მიკროქალაქი არც ისე ცოტაა — ისინი განიხილებოდა სოციალურ პროექტებად, რადგან ასეთ დასახლებებში სოციალური ცხოვრება, ძირითადად, ადგილობრივი საწარმოს, ინდუსტრიული კომპლექსისა თუ სხვა სტრატეგიული ობიექტის გარშემო ვითარდებოდა.

საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო უკვე 20 წელიწადზე მეტია, რაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადავიდა, თუმცა ინდუსტრიული კომპლექსები, სადაც მოიპოვება და მუშავდება საერთაშორისო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული წიაღისეულები, როგორიცაა ოქრო, მანგანუმი, სპილენძი, ქვანახშირი და სხვა, კვლავ განაგრძობენ მუშაობას. განსხვავება ისაა, რომ ეს ინდუსტრიული კომპლექსები აღარ ეკუთვნის სახელმწიფოს და ისინი კერძო მფლობელობაშია. შესაბამისად, საწარმოთა შემოსავალი სუფთა მოგების სახით, მთლიანად ირიცხება კერძო ანგარიშზე. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, მთლიანად ცვლის მოსახლეობის უწინდელ მდგომარეობას — იმ სოციალური სარგებლისგან, რასაც მშრომელები საკუთარი შრომით შექმნილი პროდუქტისაგან უნდა იღებდნენ, ისინი სრულიად გაუცხოებულნი არიან დღეს.

ოქროს მომპოვებელი ქალაქი დღეს უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. თანხა, რომელიც საწარმოში მომუშავეებს ხელფასის სახით ერიცხებათ, დიდად არ განსხვავდება ზოგადად საქართველოში არსებული ხელფასებისგან, (300 დან 800 ლარამდე) რაც მოსახლეობის სამართლიან და ღირსეულ მსყიდველუნარიანობასთან შედარებით, შეიძლება ითქვას, კოლოსალურად დაბალია. თუმცა კაზრეთში შექმნილი სპეფიციური ვითარებიდან გამომდინარე, არსებული ხელფასები საერთოდ აცდენილია მოსახლეობის ღირსეულად თუ არა, ადამიანურად ცხოვრებისათვის საჭირო ელემენტალურ სტანდარტებს, რადგან: მოსახლეობაში იშვიათად თუ იპოვით ოჯახს, სადაც ერთზე მეტი ადამიანია დასაქმებული. საშუალოდ 4-5-სულიანი ოჯახები მხოლოდ ერთი ადამიანის შემოსავლის ხარჯზე ცხოვრობს. გარდა ამისა, დასახლებაში არსებული მძიმე ეკოლოგიური ფონის გამო, ხშირია დაავადებები არამხოლოდ ზრდასრულებში, არამედ მოზარდებსა და მცირეწლოვან ბავშვებში: ონკოლოგიური, სასუნთქი გზების, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები. საყოველთაო დაზღვევა, ცხადია არ ითვალისწინებს მსგავს სპეციფიურ ვითარებას, სადაც მოსახლეობა მასობრივად შეიძლება იყოს დაავადებული საწარმოს მავნე მოქმედებების შედეგად და ვერ ფარავს სათანადოდ მკურნალობის ხარჯებს; აღარაფერს ვამბობ მედიკამენტებისა და პროდუქტების, ელემენტარული კეთილდღეობისათვის საჭირო მომსახურების ფასების სიძვირეზე, რაც, ჯამში, იწვევს მოსახლეობის მასობრივ გავალიანებას ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისაგან (ძნელია იპოვო კაზრეთში ადამიანი, რომელიც თვიურად არ იხდის საბანკო ვალს საკუთარი ხელფასის მესამედის სახით მაინც) და წლების განმავლობაში გაღარიბებულ კაზრეთს უფრო და უფრო მეტად მიაქანებს ეკონომიკური სიდუხჭირის სპირალის დაღმავალი მიმართულებით.

ამ მდგომარეობისაგან თავის დაღწევა კაზრეთის მოსახლეობამ პირველად 2014 წლის თებერვალში სცადა, როცა მუშებმა მასობრივი გაფიცვა გამოაცხადეს და კომპანიისადმი მიმართულ პროცესში არამხოლოდ საწარმოში დასაქმებულები, არამედ მთელი დაბა ჩაერთო. გაფიცვა 40 დღეს მიმდინარეობდა მოლაპარაკებების პარალელურად, რომელსაც საქართველოს პროფკავშირები და სახელმწიფოს მიერ დანიშნული მედიატორი ახორციელებდნენ კომპანიასთან. შეთანხმება, რომელიც ხელშეკრულების სახით დაიდო, ითვალისწინებდა მუშათა მოთხოვნების ძირითად პუნქტებსა და დამატებით ვალდებულებებს, რისი შესრულებაც საწარმოს დაეკისრა დასაქმებულთა მიმართ. ხელფასების მატებისა და პირობების გაუმჯობესების გარდა, აქ იყო ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები, როგორიცაა კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება, სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა საწარმოს მართვის პროცესში მუშების ჩართულობას, სამსახურიდან გათავისუფლებული ადამიანების უმეტესობის დაუყოვნებლივ, დარჩენილი ნაწილის კი ეტაპობრივად სამუშაოზე აღდგენა და ასე შემდეგ. მუშების გარკვეული ნაწილი კომპანიამ სამსახურში აღადგინა, პროფკავშირების ზეწოლით არც თუ ისე უმნიშვნელო ცვლილებები განახორციელა ხელფასების მატების კუთხითაც, თუმცა დანარჩენი, უმნიშვნელოვანესი პუნქტების შესრულებას კომპანიის ადმინისტრაციამ ღიად აარიდა თავი, მიუხედავად პროფკავშირების ზეწოლისა, სრულად შესრულებულიყო RMG-ის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები. მეტიც, ამაზე საპასუხოდ ადმინისტრაციის გარკვეულმა ჯგუფმა ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციის შევიწროება და რეპრესია დაიწყო ძალადობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით — იძულებით, შანტაჟით, სამსახურიდან გათავისუფლების მუქარით, დასაქმებულთა ოჯახის წევრებთან დამაშინებელი საუბრებით, ინდივიდუალური მიდგომით თითოეულ პროფკავშირის წევრ მუშასთან, რასაც მოჰყვა დაახლოებით 2 კვირაში პროფკავშირული ორგანიზაციის დატოვება 1000 მდე ადამიანის მიერ.

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირის თავმჯდომარემ, თამაზ დოლაბერიძემ წერილობითი სახით, დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია ადამიანების კონსტიტუციური და შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ ყველა შესაბამის ორგანოს, მათ შორის პრემიერ-მინისტრს, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრს, პროკურატურას, თავად RMG-ის გენერალურ დირექტორს, სერგეი ეგანოვს. ამ წერილებში ადმინისტრაციის კონკრეტული თანამშრომლების სახელები და გვარებიც კი ფიგურირებდა, რომლებიც მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულებრივ ქმედებებს ახორციელებდნენ, თუმცა სახელმწიფოსაგან ამ პროცესზე არავითარი რეაგირება აქ ყოფილა, კომპანიამ კი დარგობრივი და ადგილობრივი პროფკავშირის თავმჯდომარეების საწარმოს ტერიტორიაზე შეშვება საერთოდ აკრძალა, რასაც დაემატა პროფკავშირების კონკრეტული ლიდერებისადმი მიზანმიმართული დეზინფორმაციული ანტიპროპაგანდა ადმინისტრაციის მცირერიცხოვანი ძალაუფლებრივი ჯგუფის მიერ, რომელსაც, სოციალური კატასტროფის ზღვარზე მყოფმა მოსახლეობამ, კომპანიის შიშით, წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ეს კარგად გამოჩნდა ამა წლის სექტემბერში, კაზრეთში მოქმედ საზოგადოებრივ ცენტრში პროფკავშირების მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე მუშებთან და მოსახლეობასთან, სადაც RMG-ის აქტივისტები მიზანმიმართულად ცდილობდნენ შეხვედრის ჩაშლას სხვადასხვა პროვოკაციული ფორმებით, მათ შორის ყვირილითა და სასტვენებით, მათი შიშით კი შეხვედრაზე მოსულ ადამიანთა დიდი ნაწილი ერიდებოდა საკუთარი აზრის ღიად დაფიქსირებას და შორიდან ადევნებდა თვალს პროცესებს, ნაწილი უკან გაბრუნდა. სწორედ ეს სიჩუმე ქმნის იმ სიტუაციას, სადაც კომპანიის ადმინისტრაციის თანამშრომლების აზრები, კაზრეთის მოსახლეობის საზოგადოებრივ აზრად იქცევა — რადგან წინააღმდეგობის, ან განსხვავებული აზრის ღიად გამოხატვის შემთხვევაში, ისინი ან მათი ახლობლები სამუშაოს დაკარგავენ და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გარეშე დარჩებიან.

საბოლოოდ, მივიღეთ ვითარება, რომ 40-დღიანი გაფიცვით — მოსახლეობის გაუტეხელობითა და ბრძოლით მიღწეული, შეიძლება ითქვას, კომპანიისათვის ძალით წართმეული მუშათა სამართლიანი და ლეგიტიმური მოთხოვნები მხოლოდ ფურცელზე დარჩა გაწერილი, სახელმწიფოს სრული ჩაურევლობისა და კომპანიის ადმინისტრაციის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად კი, მინიმუმამდე შემცირდა შეთანხმების შესრულებისათვის საჭირო ზეწოლის მექანიზმები. თავად გაფიცვამ, რომელიც ხელშეკრულებით გაწერილი შეთანხმების სრულად შესრულების შემთხვევაში, უპრეცედენტოდ წარმატებული იქნებოდა და სამომავლოდ კიდევ უფრო უკეთესი პირობების მიღწევის შესაძლებლობებს გააჩენდა მშრომელებისათვის, მოსახლეობისათვის ნეგატიური მნიშვნელობა შეიძინა და საბოლოოდ გაბატონდა შიში და უიმედობა, რამაც, თავის მხრივ, სრული შემგუებლობა წარმოშვა გაბატონებული რეალობისადმი. საკუთარი უფლებებისთვის კიდევ ერთხელ ბრძოლის დაწყებას კაზრეთელები დღეს უიმედოდ უყურებენ. ამბობენ, რომ მთავრობაც კი კომპანიის მხარესაა, მათ კი ხელ-ფეხი აქვთ შეკრული წინააღმდეგობისათვის — ერთადერთი, რის შენარჩუნებასაც ცდილობენ, არსებული სამუშაო ადგილებია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით და მიუხედავად, საქართველოს პროფკავშირები შეიძლება შევაფასოთ, როგორც ერთადერთი დღემდე მოქმედი აქტორი კომპანიის ძალაუფლებრივ პოლიტიკასთან ბრძოლაში. მიუხედავად RMG-ის ადმინისტრაციის ძალაუფლებრივი ჯგუფის მიერ პროფკავშირული ორგანიზაციის დაშლისა, პროფესიული კავშირების გაერთიანება მაინც ფლობს მნიშვნელოვან მექანიზმებს კომპანიის რეპრესიული და უსამართლო ტაქტიკის ასალაგმად. ამის მაგალითია ამა წლის 7 სექტემბერს, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების მიერ მოგებული სასამართლო პროცესი RMG GOLD-ის წინააღმდეგ, რომელიც სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლებული მუშების სარჩელს ეხებოდა. თავდაპირველად მომჩივანი 40 მოსარჩელედან, კომპანიის ზეწოლის შემდგომ მხოლოდ 14-მა კაზრეთელმა გააგრძელა სასამართლოში დავა. ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ 14-ივე მუშის სარჩელი დააკმაყოფილა და კომპანიას მათი სამსახურში აღდგენა, მათთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება და ხელფასის გაცემის ყოველ დაგვიანებულ დღეზე, 0.07%-ის გადახდა დააკისრა, რაც ჯამში მნიშვნელოვან თანხას წარმოადგენს. პროფკავშირები, ასევე არ აპირებენ, შეეგუონ კაზრეთში დღეს შექმნილ ვითარებას და მომავალში, ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციის თავიდან გაძლიერების მიზნით, რიგ ღონისძიებებს გეგმავენ და ახორციელებენ, რაც, მოსახლეობაში, ეტაპობრივად აჩენს იმედს. თანაც, კომპანიის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება კვლავ ძალაშია და ნელ-ნელა, მშრომელებმაც უნდა გამონახონ ძალა საკუთარ თავში, აიძულონ ადმინისტრაცია, შეასრულოს მათი ბრძოლით მოპოვებული მოთხოვნები.

კაზრეთში არსებული ვითარება მნიშვნელოვანი განზოგადების საშუალებას იძლევა არამხოლოდ ყველა იმ ქალაქისათვის, რომელიც ინდუსტრიული კომპლექსების გარშემო ცხოვრობს, არამედ ზოგადად, კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანებისათვის. ამიტომ, საზოგადოებრივი მხარდაჭერა და სოლიდარობის პრინციპის მუდმივი კვლავდანერგვა თავად მოსახლეობაში, უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების პროგრესულად განვითარებისათვის. საქართველოს სხვა ქალაქებსა და საწარმოებში, რკინიგზაში, სხვა დარგებში არსებული ძლიერი პროფკავშირული ორგანიზაციები და მათი წარმატებები, შრომითი უფლებების უფრო და უფრო წინ წამოწევა პოლიტიკურ დღის წესრიგში და საქართველოს პროფკავშირების იურისტების მიერ მოგებულ სასამართლო პროცესთა უწყვეტი სია, მყარ ნიადაგს იძლევა კაზრეთში სიტუაციის გამოსწორებისთვის — უბრალოდ, საჭიროა ამ ბრძოლაში მეტად ჩართვა საზოგადოების თუ მედიის მხრიდან, რადგან ეს ერთადერთი გზაა, მივაღწიოთ მნიშვნელოვან შედეგებს, როდესაც სახელმწიფო შეგნებულად არ ერევა კერძო კომპანიის საქმიანობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასახლებაში გაბატონებული ეკონომიკური სიდუხჭირისა და მწვავე ეკოლოგიური დაბინძურების ფონზე, სერიოზულ სოციალურ კატასტროფას მივიღებთ.

ჯანდაცვის წარმატებული პროგრამა ჭირისუფალს ღია ცისქვეშ ტოვებს

გარდაცვლილი პაციენტი და 30-ათასლარიანი დავალიანება

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

გარდაცვლილი მამაკაცის მეუღლეს ქუთაისის კვლევითი ცენტრი 30 ათასი ლარის გადახდას, პაციენტისთვის გაწეული მკურნალობისა და მომსახურების სანაცვლოდ სთხოვს. **ნინო ვადაჭკორია** გვეუბნება, რომ პოლისით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შესახებ მას საავადმყოფოს ბუღალტერმა პაციენტის რეანიმაციულ განყოფილებაში შეყვანიდან 22-ე დღეს ამცნო: **„დაახლოებით 8 ოქტომბერს დამიბარა საავადმყოფოს ბუღალტერმა და მითხრა, რომ ჩემი მეუღლის პოლისის თანხა უკვე ამოწურული იყო და ორი დღეა ყოველდღიურად გვეწერება გადასახდელად 900 ლარი, ანუ 6 ოქტომბერს თანხა უკვე განულებული იყო“.**

სწორედ იმ დღიდან, ოჯახს პაციენტის საავადმყოფოში წოლის სანაცვლოდ დღე-ღამეში 900 ლარის გადახდა დაეკისრა. ამას ემატებოდა ყოველდღიურად ჰიგიენური საფენებისთვის საჭირო თანხა, რასაც ოჯახი იხდიდა.

აუხსნეს ისიც, რომ დღეში 900 ლარი სრულად ადექვატური თანხა იყო იმ ძვირადღირებული აპარატისა და მკურნალობის სანაცვლოდ, რაც მის მეუღლეს ესაჭიროებოდა: **„ამხელა თანის გადახდას ვერ შევძლებ-მეთქი, ვუთხარი. იძულებული გამხადეს, მეთქვა, გამოერთოთ აპარატიდან ჩემი მეუღლე, რაზეც უარი მითხრეს, ამის უფლება არ გვაქვსო. წარმოიდგინეთ, 900 ლარი დღე-ღამეში, ყოველდღე პამპერსის თანხა. მე ქუთაისში ბინა ნაქირავები მქონდა, რადგან არავინ მყავს იქ ნაცნობი, რომ მასთან მეცხოვრა. ქირის თანხა, ჩემი კვება, ფაქტობრივად, დღეში 1000 ლარი მიჯდებოდა. საიდან უნდა გადამეხადა, თვეში ვერ შევძლებდი ამ ფულის შოვნას, დღეში კი არა. მე არ ვმუშაობ, შვილი არ მუშაობს, 23 წლისაა, დედ-მამა პენსიონერი მყავს და რა უნდა მექნა? თავის მოკვლა მინდოდა, ვიფიქრე — გადავხტები წყალში და დავამთავრებ ყველაფერს-მეთქი. მერე მითხრეს გადაიყვანე სხვა საავადმყოფოში, ან ფოთში, ან სამტრედიაში, სახელმწიფო კლინიკებიაო. გადასახადი დაახლოებით 600 ლარამდე გექნება, მაგრამ არა აქვთ შესაბამისი აპარატურაო. ფაქტობრივად, მითხრეს, რომ წაიყვანე უფრო იაფიანში, მალე მოკვდება და ნაკლები დაგიჯდებაო“.**

კიდევ ერთი შეთავაზება ოჯახისთვის, პაციენტის პალიატიურ განყოფილებაში გადაყვანა იყო, სადაც თვეში 750 ლარის გადახდა მოუწევდათ. იქიდან ოჯახის წევრები უარით იმ მიზეზით გაისტუმრეს, რომ პოლისზე არსებული თანხა მთლიანად ამოწურული იყო.

როგორც ქალბატონი ნინო გვიყვება, ნაცნობების ჩარევის შედეგად 5 ნოემბერს მოახერხა პალიატიურში მეუღლის გადაყვანა, სადაც 4 დღის განმავლობაში პაციენტი ასევე აპარატზე იყო შეერთებული. მეხუთე დღეს კი გარდაიცვალა: **„პალიატიურში უარი მითხრეს თავიდან იმის გამო, რომ პოლისზე თანხა არ გვქონდა. მერე ჩავრიე საქმეში ნაცნობები და გადავიყვანეთ. თვეში უნდა გადამეხადა 750 ლარი. ოთხი დღე იწვა და გარდაიცვალა. თანხა აღარც მოუთხოვიათ“.**

49 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (მესამე ჯგუფი) გონერი თვალაბეიშვილი სექტემბრის შუა რიცხვებში მეორე სართულის აივნიდან გადმოვარდა. როგორც მეუღლე გვიყვება, ის თავდაპირველად ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში მოათავსეს, საიდანაც მეორე დღესვე კატასტროფის სამსახურის მიერ ქუთაისის კვლევით ცენტრში გადაიყვანეს მძიმე დიაგნოზით (ზედა კიდურების პარაპარეზი, ქვედა კიდურების პარაპლეგია, ორივე მხარეს შესუსტებული სუნთქვა) თვენახევრის განმავლობაში ქუთაისის კვლევითი ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზე ჰყავდათ შეერთებული. ვერც გადარჩენის პირობას იძლეოდნენ, თუმცა იმედს, რომ შესაძლო იყო 5-6 თვეში პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო, მეუღლეს აძლევდნენ: **„ვერ მეუბნებოდნენ გადარჩებოდა თუ არა. ის კი მითხრეს, უნდა დაველოდოთ, იქნებ 5-6 თვე დაგვჭირდეს, იქნებ მეტიო. ეს თანხა რომ გადავიანგარიშე, ლამის გავგიჟდი. გამოდიოდა, მთელი დარჩენილი ცხოვრება რომ მემუშავა, ამ თანხას მაინც ვერ ამოვიღები, ან სად არის სამსახური?“.**

პოლისის თანხის ამოწურვისა და ყოველდღიურად დაწესებული გადასახადის შესახებ შეიტყო თუ არა, ოჯახმა განუცხადა საავადმყოფოს ადმინისტრაციას, რომ ამხელა თანხის გადახდას ვერ შეძლებდნენ. მათ, პაციენტის აპარატიდან გამორთვაც მოითხოვეს, რაზედაც მედპერსონალმა კატეგორიული უარი თქვა.

მამაკაცის გარდაცვალების შემდეგ კი, ცხაკაიას სახელობის სამედიცინო ცენტრის იურისტმა, ოფისის ადმინისტრატორის თანდასწრებით, შეადგინა აქტი, სადაც წერია, რომ გარდაცვლილი გონერი თვალაბეიშვილის მეუღლე უარს აცხადებს გათვალისწინებული თანხის დაფარვაზე ისევე, როგორც განწილვადებით გადახდაზე, იმ მიზეზით, რომ გადახდისუუნაროა. პაციენტის მეუღლე გააფრთხილეს, რომ მომსახურების ღირებულების დაკისრების თაობაზე ცენტრი მიმართავდა სასამართლოს.

ნინო ვადაჭკორია გვიამბობს, იმის თაობაზეც გამაფრთხილეს, რომ მოხდებოდა ჩვენი საცხოვრებელი სახლის შემოწმება და ქონების აღრიცხვაო: **„მითხრეს, გადადის ეს ვალი ოჯახის წევრებზეო. მოვა ადამიანი, ვინც შეამოწმებს სახლს, თქვენს ქონებას. გამოდის, სახლის გაყიდვით მემუქრებიან. ჩემს შვილთან და პენსიონერ მშობლებთან ერთად უნდა დავრჩე ქუჩაში. თან გამაფრთხილეს, სასამართლომდე ნუ მიიყვან საქმეს, გაგინაწილებთ გადასახადს, თორემ მერე პირგასამტეხლოს სახით მოსამართლე დაგაკისრებს დამატებით 3 ათას ლარსო. ეს სახლი რომ გვეყიდა, ჩემს მშობლებს სახლი გავაყიდინე სოფელში და ჩემთან გადმოვიყვანე საცხოვრებლად. ახლა რა ვქნა, ისინიც დავტოვო ქუჩაში? ჩემი მეუღლე რამდენი წელია მესამე ჯგუფის ინვალიდი იყო. ფეხის ტრავმა ჰქონდა. ვერ მუშაობდა, მე კი ხან გასაყიდ საქონელს დავატარებდი სოფლებში, ხან ბაზრობაზე ვმუშაობდი, რომ თავი გვერჩინა. მოსკოვშიც წავედი, მაგრამ არალეგალი ვიყავი, რამდენჯერმე დამაჯარიმეს და აღარ შემეძლო ასე, შიშით ცხოვრება. დავბრუნდი. თბილისში ვიშოვო იქნებ სამუშაო-მეთქი, მაგრამ რესტორანში, ჭურჭლის მრეცხავის ადგილიც ვერ ვიშოვე. აღარ მინდა ამ ქვეყანაში ცხოვრება. ყველაფერი მომბეზრდა“.**

„49 წლის კაცი მოგვიკვდა და ფულს გვთხოვენ. რომელ ქვეყანაში ხდება ასე? 72 წლის ქალი ვარ, მეუღლე მყავს 85 წლის, ჩვენი პენსიით რა გადავიხადოთ? მთელი ოჯახი ამ პენსიაზე ვცხოვრობთ. მკვდარი ვიტირო თუ ასეთ მდგომნმარეობაში ჩავარდნილი შვილი, აღარ ვიცი“, — აცხადებს ნინო ვადაჭკორიას დედა, ქალბატონი თალიკო.

ქალბატონმა ნინომ ისიც აგვიხსნა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს, წერილობით მას შემდეგ მიმართა, რაც გაიგო, რომ ყოველდღიურად 900 ლარის გადახდა ეკისრებოდა. სამინისტროში დახმარებაზე უარი უთხრეს — უწყებამ საავადმყოფოსთვის დამატებითი თანხის დარიცხვა საჭიროდ არ მიიჩნია. ქალაქის მერიაში კი, ქალბატონ ნინოს, დაპირდნენ, რომ ერთჯერადი დახმარების სახით, მაქსიმუმ, 800 ლარს გამოუყოფდნენ. ეს კი, დაგროვილ თანხასთან შედარებით, ზღვაში წვეთია.

რა ეტაპზეა საქმე და მიმართა თუ არა სამედიცინო ცენტრმა სასამართლოს გარდაცვლილი გონერი თვალაბეიშვილის ოჯახის წევრებისგან დაგროვილი თანხის ამოღების თაობაზე? „ვერსია“ ქუთაისის ინტერვენციული სამედიცინო ცენტრის იურისტს, **რამაზ შვანგირაძეს** დაუკავშირდა, რომლის განმარტებით:

— სასამართლოში სარჩელი ჯერ არ შეუტანიათ, თუმცა, ვადაჭკორიებს აუცილებლად მოუწევთ დავალიანების დაფარვა. ველოდები ქალბატონი ნინოსგან პასუხს, რომელიც უნდა მიეღო ჯანდაცვის სამინისტროსა და ქალაქის ხელმძღვანელობისგან. ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას. მე მას თავიდანვე ვუთხარი, რომ მოხდებოდა ამ თანხის გადანაწილება, ორ წელზე, რაზეც კატეგორიული უარი თქვა. გადახდისუუნაროა ვარო.

— ბატონო რამაზ, ჯანდაცვის სამინისტრომ დახმარებაზე უარი ოქტომბრის შუა რიცხვებში უთხრა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მისი მეუღლე თქვენთან მკურნალობდა.

— არ ვიცი, პირველად მესმის თქვენგან.

— ქალბატონი ნინო ამბობს, რომ ფაქტობრივად, სახლის გაყიდვით ემუქრებით.

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. საცხოვრებელი სახლის, მანქანის თუ ურმის ხარჯზე მოხდება თანხის ამოღება. თუ ჩვენს სარჩელს დაკმაყოფილებს სასამართლო, ამას გააკეთებს სააღსრულებო ბიურო.

— პაციენტს პოლისი ხომ ჰქონდა? დაახლოებით 15 ათას ლარზეა საუბარი. თან ადამიანი გარდაიცვალა. ოჯახის მდგომარეობაც ხომ უნდა გაითვალისწინოთ?

— მაღალი ხარისხის მომსახურება და აპარატურა გვაქვს. ასეთ შემთხვევაში კი, როცა ოჯახს უჭირს და ვერ გადაიხდის თანხას, ესარგებლა რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით, რომელიც ზუსტად მასეთ კატეგორიაზეა გათვლილი. სად არიან თქვენი გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე, რატომ არ სწავლობენ მათი მოსახლეობის მდგომარეობას, რატომ არ სვამენ ასეთ პროგრამებში, ისეთი ხალხი როა ჩასმული, ვისაც არც უჭირს და არც პრობლემა აქვს.

— ანუ, პროგრამის ხარვეზებსა და ადგილობრივი ხელისუფლების უპასუხისმგებლობაზე მიანიშნებთ?

— პირდაპირ ასე არ ვამბობ, მაგრამ მიაქციონ ყურადღება ასეთ კატეგორიას. ჩვენ ვართ კომერციული დაწესებულება, რომლის მედპერსონალმა ძვირადღირებული აპარატებით კვლევები ჩაუტარა, უმკურნალა პაციენტს. მაქსიმუმი გაუკეთა და თუ პაციენტის ოჯახი თანხას ვერ იხდის, რა გადავუხადოთ ექიმებს, ექთნებს? შეღავათი ერთს თუ გავუკეთე, სხვაც მოითხოვს. საავადმყოფო კი გაკოტრებამდე მივა. ასეთი ადამიანებზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სამინისტროს პოზიციის დაფიქსირებაც ვცადეთ, მაგრამ უწყებაში, კომენტარს არ აკეთებენ.

ყოველდღე სასკოლო დაწესებულებას თავისა და მუცლის ტკივილით არაერთი მოსწავლე ტოვებს

„გარდა დიარეული ვირუსებისა, ახლა სეზონურად ტრიალებს რესპირაციული ვირუსებიც“

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

თავისა და მუცლის ტკივილი, გულისრევა... თბილისის რამდენიმე სკოლაში მსგავს სიმპტომებს არაერთი მოსწავლე უჩივის. გასაგებია, რომ ლაბორატორიული კვლევის გარეშე ძნელია თქმა, რეალურად რასთან გვაქვს საქმე, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ზამთარია და სეზონური გრიპები სწორედ ახლა იჩენს თავს, მაგრამ როდესაც დღეში, მინიმუმ ხუთი მოსწავლე ამ ჩივილებით ტოვებს სასწავლო დაწესებულებას (ამას პირად საუბრებში პედაგოგებიც ადასტურებენ), ლოგიკურია კითხვა — თავი ხომ არ იჩინა რაიმე ახალმა ვირუსმა?

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი **ხათუნა ზახაშვილი** „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ გრიპის შემთხვევები ჯერ არ გამოვლენილა, ჩამოთვლილი სიმპტომები კი ნოროვირუსს ახასიათებს, რომლის აფეთქებაც ამ ზაფხულს გამოვლინდა და მისი შემთხვევები დღემდე ფიქსირდება: **„ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კვლევაში ჩართულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები. როცა არის მსგავსი ჩივილები, საჭიროა მიმართონ ექიმს, რათა მოხდეს ზუსტი დიაგნოსტიკა, რასთან გვაქვს საქმე... ყველაზე ხშირად ეს უკავშირდება ამ ზაფხულს დაწყებულ ნოროვირუსული ინფექციის აფეთქებას, რომელიც ახლა უკვე იშვიათი შემთხვევების სახით, მაგრამ მაინც გვხვდება. ამიტომ ჰიგიენის წესების დაცვისკენ მოვუწოდებთ ყველას, მით უმეტეს სკოლის პირობებში. მშობლებიც უნდა იყვნენ ფრთხილად და თუ შენიშნავენ, რომ ბავშვს აქვს ეს სიმპტომები, აუცილებლად მიმართონ ექიმს, ასევე იზრუნონ, რომ დაავადებული ბავშვი არ მოხვდეს სასკოლო დაწესებულებასა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში სიმპტომების გავლამდე. ასე დავიცავთ ყველა დანარჩენ ბავშვს დაავადების გადაცემისგან“.**

რაც შეეხება დაავადების ხანგრძლივობას, ხათუნა ზახაშვილი აღნიშნავს, რომ ნოროვირუსს საკმაოდ ხანგრძლივი მოქმედება ახასიათებს და განკურნების შემდეგაც დიდხანს რჩება ორგანიზმში: **„ნოროვირუსი ძალიან იოლად ვრცელდება, გადაცემის გზაა ფეკალურ-ორალური და გამოჯანმრთელების შემდეგაც საკმაოდ დიდხანს რჩება მტარებლობა, რის გამოც დაავადება არაკონტროლირებადი ხდება. დაავადებას ახასიათებს ხანგრძლივი განმეორებითი პირღებინება“.**

როგორც ჩანს ყველაფრის მხოლოდ ზაფხულში გავრცელებულ ნოროვირუსს ვერ დავაბრალებთ, რადგან ფაქტია, რომ არაერთი ადამიანია ავად: **„გარდა დიარეული ვირუსებისა, ახლა სეზონურად ტრიალებს რესპირაციული ვირუსებიც, რომლის სიმპტომები ზოგჯერ არ არის რესპირაციული ვირუსებისთვის უპირატესად დამახასიათებელი, ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში ბავშვს, რომელიც ვერ გრძნობს თავს, კარგად ექიმმა უნდა გაუწიოს კონსულტაცია და დაესვას დიაგნოზი. ზეპირად დიაგნოზის დასმა შეუძლებელია“.**

თუმცა, როცა საქმე მოსწავლეებს ეხება კიდევ ერთი პრობლემა იჩენს თავს — ბავშვს ყველა გაცდენა არასაპატიოდ ეთვლება, ხოლო რამდენად რეკომენდებულია ავადმყოფი ბავშვის სკოლაში გაშვება, ამაზე საუბარიც ზედმეტია: **„როცა ბავშვი ავადაა, სასწავლო დაწესებულებაში არ უნდა ხვდებოდეს. ეს ჩემი რეკომენდაცია კი არა, საზოგადოებაში საერთო მოქცევის წესია — ავადმყოფი ადამიანი არ უნდა მიდიოდეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. სკოლა ამის გამო ითხოვს ცნობას, თუმცა ხშირ შემთხვევაში ნებადართულია გაფრთხილება — რომ ბავშვი არის ავად“,** — აღნიშნავს გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი და იძლევა რეკომენდაციას, გრიპის შემთხვევების დაფიქსირებამდე, გრიპის საწინააღმდეგო იმუნიზაცია ჩავიტაროთ, დავიცვათ ჰიგიენის ნორმები, ვანიავოთ ოთახი და გავაკონტროლოთ, ბავშვებმა ხელი ხშირად დაიბანონ, მაგრამ აქ არის კიდევ ერთი დეტალი — ნოროვირუსი შესაძლოა საკვების ან წყლის საშუალებითაც გავრცელდეს, ჰოდა რატომაა გამორიცხული, მოსწავლეები არცთუ იშვიათად, სკოლის სასადილოების მსხვერპლნი იყვნენ?

ᲒᲐᲠᲗᲝᲕᲐ

1.(მუს.) რიტმული მახვილი
2. აქლემების „ეშელონი“
3. წვრილი ნაწლავის ანთება
4. მტკვრის მარჯვენა შენაკადი
5. ქამრის შესაკრავი
6. იშვიათი წიგნებით მოვაჭრე
7. ორ-სახოვანი ღმერთი
8. ავი სული, ეშმაკი
9. დადებითი ნაწილაკი ატომგულში
10. კუნთის შაქარი
11. უშ-ფოთველი ცხოვრება
12. პოეტური გამოცანა
13.იგივეა, რაც მე-ურნეობის გამგე
14. ამაზონის დელფინი
15. დასტურის შეძახილი აშშ-ში
16. ეშმაკი ისლამში
17. მუს-ლიმანთა წმინდა ქალაქი
18. სატან-ვარჯიშო იარაღი
19.ერთნაირი სიმღლის ბგერ. ერთდრ. ჟღერა
20. ტარიელის მსახური ქალი
21. ქიმიური ელემენტი, მეტალოიდი
22. ადამიანის გარეგნული მესახედაობა
23. წყალქვეშა კლდე
24. ქალის საცურაო კოსტიუმი
25. ძვირფას-ბეწვიანი ცხოველი
26. გამოუწვავი აგური
27. თურქული აბანო
28. „მწყემსური პოეზია“
29.არქტიკ. სარტყლის სამხრეთი ზონა
30. ტაივანის დედაქალაქი
31. მშვილდით სასროლი ჯოხი
32. ბურთის გასვლა მოედნიდან
33.ანაზ-ღა-ურების გა-ნაკვეთების ცხრილი
34. უმაღლესი მიღწევა სპორტში
35. მდინარე ავსტრიაში
36. მოსა-მარ-თლის მოსასხამი
37.აზიის სიგრძით მე-7 მდი-ნარე
38. „შეგ-როლეს“ მოდელი
39. ბიბლიური წინასწარ-მეტყველი
40. მოძრაობის გადამცემი ბორბალი
41. ღამის ფრინველი
42. ერთ-ერთი სახარების ავტორი
43. მზის ამოსვლა
44.დღლის სიმღერა ტროუბად. პოეზიაში
45. თურქული მარგარინის მარკა
46 ტყვიით გატენილი მასრა.
47. ნაბიჯი ბალეტში
48.ინდოელი ქალის კაბა
49. მოუხ-არშავი
50.კოღოს ნაკბენით გამოწვეული დაავადება
51.ამერიკ. მომღერალი კორტნი ...
52. ჩინეთის ფულის ერთეული
53. ორი არასასურვ. ერთ-ერთის არჩევა
54. ჩინელთა ბელადი
55. ჯუჯა კამერი
56. ბატანის მოგების დრო
57. (ძვ.) მა-მასახლისის ხელქვეითი
58. მთა კუნძულ კრეტაზე
59. მოკრივე კასიუს ...
60.ღვინის ობი
61. ბიჭი ინგ-ლისურად
62. სამოქალაქო ავია-ციის საერთაშორისო ორგანიზაცია

ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢ

სიმაღლე აბერებს

როგორც ამერიკელი სწავლულები ამტკიცებენ, ადამიანი რაც უფრო მოშორებით ცხოვრობს მიწიდან, მით სწრფად ბერდება. ამით მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს აინშტაინის თეორია, რომელიც ამბობდა, რომ დედამიწისგან მოშორებით დრო უფრო სწრაფად გადის. ახლა სპეციალისტებმა შეძლეს, ზუსტად დაეთვალათ ამ ეფექტის პარამეტრები ციფრებში. ასე რომ, თუ ცხოვრებას ცათამბჯენის ყველაზე მაღალ სართულზე გადაწყვეტთ, სწრაფად დაბერდებით, ვიდრე ერთსართულიან სახლში ან კორპუსის პირველ სართულზე ცხოვრებისას. ორი საფეხურით ზემოთ დრო წამის 90 მემილიარდედით ჩქარა გადის. მიწის ზედაპირიდან სამი მეტრით მაღლა ასული ადამიანისთვის, 79 წლის განმავლობაში 900 მემილიარდედი ნაწილით მეტი დრო გავა, ანუ ამდენივე ხნით დაბერდება. თუ ადამიანი მთელ ცხოვრებას ცათამბჯენის ბოლო სართულზე — 381,3 მეტრ სიმაღლეზე გაატარებს, მაშინ იგი წამის 104 მემილიონე ნაწილს დაკარგავს. დროში განსხვავება ძალიან მცირეა, რასაც ადამიანები ვერც გრძნობენ და პრაქტიკული გამოყენება მას მხოლოდ გეოფიზიკასა თუ მეცნიერების სხვა დარგებში შეიძლება ჰქონდეს, — ამბობენ მკვლევარები.

შოკოლადი ეიჩვევა იცვევს

ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი მნიშვნელოვანი რაოდენობით საშიშ ნივთიერებას შეიცავს, რომელიც ორგანიზმზე ისევე ზემოქმედებს, როგორც მარიხუანა. შოკოლადის ძირითადი კომპონენტი კაკაო შეიცავს ვანდანამიდს — ეს მიკროელემენტი თავის მხრივ, კანაბინოიდებს ჰგავს — პასუხისმგებელს იმ მდგომარეობაზე, რომელშიც ადამიანი მარიხუანას მოხმარების შემდეგ ვარდება. კვლევების მიხედვით, ვანდანამიდს შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ტვინის ფუნქციონირებაზე და დამოკიდებულება გამოიწვიოს. ასე მაგალითად, თუ დიდხანს არ შეჭამთ შოკოლადს, ტვინის ის უბნები, რომელიც შეჩვევაზეა პასუხისმგებელი, გზავნის სიგნალებს, რის შემდეგაც გიჩნდებათ ძლიერი სურვილი ამ ტკბილეულის მირთმევისა. სწავლულები გვაფრთხილებენ, რომ 30 კილოგრამი შოკოლადი ერთ დოზა კანაფის მოცულობის ანალოგიურია.

ᲧᲕᲘᲚᲐᲖᲔ ᲧᲐᲠᲘᲡᲘ ᲭᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ

ინდოეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა ცენტრალური დეპარტამენტიდან გაათავისუფლეს თანამშრომელი, რომელიც სამსახურში 25 წელი არ გამოჩენილა. ელექტროტექნიკოსი ვარმა 1990 წლის დეკემბერში შვებულებაში გავიდა და მას მერე არ დაბრუნებულა. მან შვებულების გაგრძელება ითხოვა, მაგრამ თხოვნა არ დააკმაყოფილეს. მას შემდეგაც კი, რაც გამოძიებით სამსახურის გაცდენისთვის ვარმას დანაშაული დადგინდა ჯერ კიდევ 1992 წელს — 23 წელი დასაჭირდა იმას, რომ თანამშრომელი საბოლოოდ გაეთავისუფლებინათ. ამის მიზეზი ბიუროკრატიაა, აღნიშნავენ ქვეყნის სამთავრობო დეპარტამენტში. 2012 წელს ინდური ბიუროკრატია მთელ აზიაში ყველაზე უარესად აღიარეს. ინდური უწყებების თანამშრომლებს სახელი აქვთ განთქმული სამსახურში დაგვიანებით, არგამოცხადებით და სამუშაო საათებში გოლფის თამაშით.

სუდოკუმანია

ადვილი

6	4		9					
2								3
			6		8	2	9	5
	8				1	9		
		1	4				7	
4	1	3	7		9			
8								2
					6		3	9

სტანდარტი

			9			4	3	1
1	5			3			9	
9		3		4		8		
					6	1		
2								3
		5	3					
		6		8		9		4
	4			6			8	2
5	2	8			9			

რთული

	3					5		
			5	9	4			2
			3	8		4	7	
	5				9	8	1	
				7				
	4	8	1				6	
	9	3		2	5			
6			9	1	7			
		7					2	

ექსპერტი

			2	8		9		6
6					3			
		7			5			
		6	9	3		2		
5		4		1		7		3
		1		5	2	4		
			5			8		
			3					2
2		3		4	8			

სიმსივნე მემკვიდრეობითი არ არის

სიმსივნური წარმოქმნი შეიძლება გაუჩნდეს ადამიანს იმის მიუხედავად, როგორც ცხოვრების წესს მისდევს, რა გარემოში ცხოვრობს და აქვს თუ არა მემკვიდრეობითი მიზეზები, — განაცხადეს ამერიკელმა სწავლულებმა. ავთვისებიანი სიმსივნე უჯრედების დაყოფის შედეგად წარმოიქმნება, ეს პროცესი კი, ძირითადად, შემთხვევითია ხოლმე. კვლევების პროცესში მეცნიერებმა სიმსივნის 31 სახეობა შეისწავლეს. მათ უმრავლესობას არ ჰქონდა ზემოქმედების არავითარი გარეგანი და გენეტიკური ფაქტორი. ასე რომ, სწავლულებმა უარყვეს თეორია, რომლის მიხედვითაც, კიბო წარმოიქმნება სტრესული სიტუაციების ან გარეფაქტორების გამო. თუმცა მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ცხოვრების დონისა და გარემო პირობების გაუმჯობესებამ, შესაძლოა, აღკვეთოს ავთვისებიანი სიმსივნის განვითარება.

მუცელზე ძილი მავნეა

ესპანელი ექიმი-სექსოპათოლოგები, კვლევების ჩატარების შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ძილის ეს არასწორი პოზა, უმრავლეს შემთხვევაში, სექსუალურ აშლილობას იწვევს. მიიჩნევა, რომ როცა მუცელზე გძინავთ, აწვებით შინგან ორგანოებს, მათ შორის, შარდის ბუშტსაც. მუცელზე ძილი მავნეა ასევე მკერდისთვისაც, რომელიც იჭყლიტება და გარკვეული დროის შემდეგ მასზე ნაოჭები ჩნდება. ნაოჭების მოშორება კი ძნელია, რადგან კანი იწელება. თუ გსურთ, სახე ნათელი იყოს და ცოცხლად გამოიყურებოდეს, მუცელზე ნუ დაწვებით, რადგან ძილის დროს კანიც იკუჭება და ჯერ მსუბუქი ნაოჭები წარმოიქმნება, მერე კი უფრო ღრმა ხაზები ჩნდება. ქალებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან იციან, რომ სილამაზისა და სახის სინორჩის შესანარჩუნებლად ზურგზე ძილია საჭირო.

რა გავლენას ახდენს სარკე ადამიანზე?

ამერიკელმა სწავლულებმა სარკის ამოუცნობი თვისებები შეისწავლეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანზე, რომელიც სარკეში იხედება. ამასთან, ეს გავლენა, შესაძლოა, იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითიც. ადამიანი დაღლილობასა და მეხსიერების გაუარესებას იგრძნობს, თუკი დიდხანს ათვალიერებს საკუთარ გამოსახულებას სარკეში, განსაკუთრებით, თუ თვალებში უყურებს. სარკე ადამიანის ენერგიის აკუმულირებას ახდენს, თუ ის სამ წუთზე მეტ ხანს იხედება და „ენერგეტიკული ვამპირის" როლში გამოდის. მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ვინც ხშირად იხედება სარკეში, მალე ბერდება. ენერგეტიკული ველი ადამიანის გარშემო სუსტდება და გარემოს ზეგავლენისგან თავის დაცვა უჭირს. თუმცა, სარკეს დადებითად მოქმედების უნარიც ჰქონია — თუ ადამიანი სარკეში საკუთარ გამოსახულებას ღიმილით უყურებს, ის პოზიტიურ ენერგიას გამოასხივებს. ეს ენერგია აირეკლება სარკეში და კვლავ ადამიანს უბრუნდება — ამაღლებს მის განწყობას, ხსნის სტრესს და წარმატებისკენ უბიძგებს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

2	8	1	4	5	9	7	6	3
7	3	9	8	6	2	5	4	1
6	5	4	7	3	1	2	9	8
5	7	3	6	4	8	1	2	9
4	1	8	9	2	5	6	3	7
9	6	2	3	1	7	8	5	4
3	2	7	1	9	6	4	8	5
8	4	6	5	7	3	9	1	2
1	9	5	2	8	4	3	7	6

სტანდარტი

1	8	3	2	7	5	9	6	4
5	6	2	4	3	9	1	8	7
9	7	4	1	8	6	5	3	2
8	5	1	9	6	7	4	2	3
4	3	9	8	2	1	7	5	6
7	2	6	5	4	3	8	1	9
3	1	8	7	9	2	6	4	5
2	4	7	6	5	8	3	9	1
6	9	5	3	1	4	2	7	8

რთული

5	3	7	4	2	8	1	6	9
2	6	1	5	9	3	4	8	7
8	4	9	1	7	6	5	3	2
7	8	4	3	1	2	9	5	6
3	1	6	9	8	5	2	7	4
9	5	2	6	4	7	8	1	3
6	7	8	2	5	4	3	9	1
4	9	3	8	6	1	7	2	5
1	2	5	7	3	9	6	4	8

ექსპერტი

7	3	6	1	4	5	2	8	9
2	9	8	6	3	7	5	4	1
5	4	1	2	9	8	7	6	3
6	1	5	4	8	2	3	9	7
4	8	3	7	1	9	6	2	5
9	7	2	5	6	3	4	1	8
3	5	9	8	2	4	1	7	6
1	2	7	9	5	6	8	3	4
8	6	4	3	7	1	9	5	2

მე-9 გვერდი: 1. ამპერი; 2. მედრესე; 3. ევკომია; 4. ელიფსი; 5. ლომბარდი; 6. ფული; 7. გეიმი; 8. იემენი; 9. დეკადა; 10. სმალტა; 11. ვიოლეტა; 12. ოლარი; 13. ადლი; 14. ი; 15. ჯამი; 16. სეიმი; 17. რეალი; 18. კამეა; 19. ანოდი; 20. გრემი; 21. ადა; 22. როტვეილერი; 23. ბაკმი; 24. რიზ უიზერსპუნი; 25. „ტურანდოტი"; 26. ხორაგი; 27. ენა; 28. გეა; 29. პირი; 30. ბინგო; 31. კაი; 32. ბია; 33. იოტა; 34. სიონი; 35. ზურმუხტი; 36. „მოამბე"; 37. ურნა; 38. ივრითი; 39. მურეი; 40. ლიანგი; 41. ემბარგო; 42. ამასია; 43. ზოოლოგია; 44. ნალია; 45. აია; 46. ფრანკი; 47. იასპი; 48. ემუ; 49. ერე; 50. სიათა; 51. „მეთევზე"; 52. კიუსიუ; 53. ნიამეი; 54. თეთრი; 55. ლოდი; 56 ვერონიკა; 57. რკინა; 58. არიცია; 59. მაიამი; 60. ლაერტი; 61. თალგამი; 62. არამ; 63. ნიამორი; 64. სულავესი; 65. ამერიგო; 66. ვასო; 67. „პუმა"; 68. მანონ; 69. რიანა; 70. კიი; 71. სუბსიდია; 72. ცირკი; 73. იდა; 74. უშუ; 75. ლიბო; 76. ნიკო; 77. სუ; 78. მეი; 79. ღილი; 80. ნები; 81. რეი; 82. მინა; 83. ანიმაცია; 84. ეშხი; 85. ღინტუ; 86. სიუ.

მე-10 გვერდი: 1. აგრონომი; 2. გაუდემაუსი; 3. ოკულარი; 4. ოფურო; 5. მალიორკა; 6. ანიონი; 7. ინუიტი; 8. რეცეპტი; 9. კუდუსუნი; 10. ლიანა; 11. ნამჯა; 12. მონა; 13. სიტუაცია; 14. ადიდა; 15. იოანე; 16. კაპიტანი; 17. მელანომა; 18. არია; 19. ალიზი; 20. „იდიოტი"; 21. ეილერი; 22. კოალა; 23. მაიმუნი; 24. გირჩი; 25. ლივ; 26. „აიდა"; 27. რეტი; 28. ალური; 29. გოფრე; 30. ფიგარო; 31. ნედლი; 32. ოკრიბა; 33. მუნ; 34. ორლი; 35. რეგალია; 36. ერბო; 37. აქტი; 38. სარაი; 39. ატა; 40. კლიო; 41. ვერა; 42. რენძიუ; 43. ბადია; 44. ატამი; 45. კაკაო; 46. ჩაკონა; 47. რურკი; 48. „ალეკო"; 49. იურა; 50. ნიკოლ; 51. ეტი; 52. რანეტი; 53. ორბი; 54. აბი; 55. ბმო; 56. კოლინ; 57. საკურა; 58. ნიკ; 59. აურა; 60. მამაი; 61. კროუ; 62. ურო; 63. კუსტო; 64. ბრუტო; 65. „ბაიერნი".

კოფეინი მხედველობას იცავს

ტოკიოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერები აცხადებენ, რომ კოფეინის მოხმარება აუმჯობესებს თვალის უნარს, ცრემლი გამოიმუშაოს. სპეციალისტების თქმით, მათი აღმოჩენა საშუალებას მისცემს, დაიხვეწოს ე.წ. მშრალი თვალის სინდრომის მკურნალობის მეთოდი. სინდრომს (ცრემლის აპკი შრება და ვერ ასწრებს აღდგენას) ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა თვალში უცხო სხეულის შეგრძნება, წვა, ქავილი, სიმშრალე, შუქის შიში, თვალის სწრაფი დაღლა. იაპონელ სწავლულთა კვლევაში 78 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც კოფეინსა და პლაცებოს იღებდნენ. შედეგად, ვინც კოფეინს იღებდა, მნიშვნელოვნად გაეზარდა ცრემლის გამომუშავება. მკვლევარები აცხადებენ, რომ კოფეინის მიღებას მხოლოდ იმ პაციენტებს ურჩევენ, ვინც შედარებით მგრძნობიარეა ამ ნივთიერების მასტიმულირებელი ეფექტის მიმართ. „მშრალი თვალის" სინდრომისას კი, სწავლულები გვირჩევენ, სპეციალისტს მივმართოთ.



1.იაროსლავ ჰაშეკის ყონაღი ჯარისკაცი
2. კატაბალახ-ას ლათინური სახელწოდება
3. ახალ-გაზრდა სპორტსმენი
4.დამატები-თი ტექსტი ძირითადი ტექსტის ქვეშ
5. სარეწაო თევზი
6. რუსი ფიზიკოსი
7. დარტანია-ნის მსახური
8. სტალინის მშობლიური ქალაქი
9. გეო-დეზიური ხელსაწყო
10. ბაყაყის მსგავსი ამ-ფიბია
11.უტექსტო საგარჯიშო მოძღვრლის ხმისათვის
12. ფერმწერი ... ბოტიჩელი
13. ინერ-ტული გაზი
14. კეთილი მომა-ვლის რწმენა
15. ინგლისე-ლი მსახიობი ჯუდ ...
16. რეჟისორ კუროსავას სახელი
17. მდინარე აღმოსავლეთ საქართ-ველოში
18.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
19. სრული მარცხი, კრახი
20. თმის მცენარეული საღებავი
21. დროის შვიდდღიანი მონაკვეთი
22. გრძელი-წინდას სახელი
23. ჭადრაკის ფიგურა
24. ლითონის თხელი ფურ-ცელი
25. სპილ-ბერგის უცხოპლა-ნეტელი
26. ამერიკელი მუსიკოსი
27. პატარა საგუშაგო რაზმი
28. ფოსო მკლავის ტან-თან შერთების ადგილზე
29.წარსულში ცნობილი ბერძენი მომ-ღერალი ქალი
30. ქალაქი ავსტრალიაში
31. ამერიკელი მსახიობი კურტ ...
32. სამეურ-ნეო მუშაკი
33. აგავას მსგავსი მცენარე
34. პოეტური გამოცანა
35. კაბო-ვერდეს დედაქალაქი
36. პოლონე-ლი კინორე-ჟისორი
37.ფლოტის სარდალი ძველ საბერ-ძნეთში
38. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
39. სახოტბო ლექსი
40. გარეული ღორი
41. პარტია ჩოგბურთის თამაშში
42. მაგთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
43.ლინზის ოპტიკური ძალის ერ-თეული
44. მეტრული მუსიკალური ერთეული
45.მდინარე გერმანიასა და ჰოლანდიაში
46. სუმოისტ-ების ქამარ-სახვევი
47. პარ-ლამენტის სახელწოდება ნორვეგიაში
48. დიდი ფრინველის პაერში ლივ-ლივი
49. ერთ-გვაროვანი ფაფისებური მასა
50.სამხედ-რო გემე-ბის დიდი შენაერთი
51. პუშკინის გადიის სახელი
52. უბე-დურების საერთაშორი-სო სიგნალი
53. სახლს მიშენებული გადახურული შესასვლელი
54. დიდი გასართობი წარმოდგენა
55. აშშ-ის ექსპრეზი-დენტი ... რეიგანი
56.მედიც. დარ-გი, სწავლობს ორსულობა-შმობიარობას
57. სოფელი წალენჯიხის რაიონში
58. ისტორიის მუზა
59. კარგად მოსიარულე ცხენი
60. ... კვერნაძე „საბუდარელ ჭაბუკში“
61. ეგვიპტური კატა
62.დანიური წარმოშობის რუსი ზღვაო-სანი
63. იტალი-ური ფიქვი
64. ბატის სახელი ქარ-თულ მულტ-ფილმში
65. ფართო-ბის ერთეული
66.შლიმანის მიერ აღმოჩენი-ლი ანტიკური ქალაქი
67. თქმულება სკანდი-ნავიაში
68. კანადელი მომღერალი ავრილ ...
69.დაქი-რავებუ-ლი მკვლე-ლი ძვ. იაპონიაში
70.„შეროლეს“ მოდელი
71. ზევსის დედა
72. პროსპერ მერიმეს ნოველა
73. საკლე-სიო ძმობის წევრი
74.მსხვილ ფეოდალზე დამოკიდებუ-ლი მემამულე
75. კანის საფარველის პერიოდ. ცვლა ცხოველებში
76. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
77.ჯულია რობერტსის კინოროლი ... ბროკოვიჩი
78. თეთრი გაუმჭვირვალე ლაქა თვალის რქოვანაზე
79.იარაღის მწარმოებელი ავსტრიული ფირმა
80. ხვალინ-დელი დღის მომდევნო
81. აღტაცების შეძახილი იაპონიაში
82.მიმართვა ინგლისელი ქალიშ-ვილი-სადმი
83. სტალინეს შინაურული სახელი
84. იგივეა, რაც დროშა
85. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
86.ძროხის „ნობათი“
87.ირინას კინოობ. ფორმა

მოქალაქეებს იარაღის საყიდელ თანხას ურიგებენ

იტალიაში, პიემონტის რეგიონში მდებარე პატარა ქალაქ ბორგოსეზიას მერმა განაცხადა, რომ მზად არის, ქალაქის ნებისმიერ მცხოვრებს 250 ევრო მისცეს იარაღის შესაძენად. ქალაქის თავმა, ჯანლუკა ბუონანომ გადაწყვიტა, ცალკე ფონდი შექმნას, რომლის თანხებითაც დაიფარება პისტოლეტების ღირებულების 30%. მერის განცხადებით, ეს აქცია საშუალებას მისცემს ბორგოსეზიას მცხოვრებლებს, თავი დაიცვან სამართალდამრღვევებისგან, რომელთაც ხელს აფარებს ცენტრალური ხელისუფლება. იმის ნაცვლად, რომ დაიცვან პატიოსანი იტალიელები, ისინი სისხლის სამართლის კოდექსის „გაჰუმანურებით“ არიან დაკავებული, — ამბობს ბუონანო. ადგილობრივი გამოცემების ცნობით, მერმა მოთხოვნა გააგზავნა ევროკომისიაშიც, რათა შექმნან ანალოგიური ფონდი ევროკავშირის დონეზეც. თავად ქალაქის მცხოვრებლები და სხვა აპენინელებიც მერის ინიციატივას „სიგიჟედ“ აფასებენ და სოციალურ ქსელში მის გვერდზე ნეგატიურ კომენტარებს ტოვებენ. აღსანიშნავია, რომ იტალიაში ნებადართულია იარაღის ტარება პირადი დაცვისთვის, თუმცა, ბოლო დროს პარლამენტი ხშირად მსჯელობს მის გაუქმებაზე.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.